ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 1 მარტი, 2013 №50 (6051) ფასი: 30 თეთრი

1 მარტიდან!
„ახალი თაობა“ +
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
8 ლარი
ტომი 3

გიორგი მიქელაძე: „მერაბიშვილმა „იმედის“ 15% წილის ყიდვა მაიძულა“

დაიბარებენ თუ არა ყოფილ შს მინისტრს დაკითხვაზე

— გვ. 5 —

საკაშვილი ადეიშვილს პანღურებს ურტყამდა

— გვ. 3 —

ბაჩო ახალაიას სხდომა დღეს გაგრძელდება

გვ.3

გვ. 2

ანი მიროტაძე: „შევარდნაძე–საკაშვილის ეპოქა ერთად სრულდება“

გვ.4

რატომ თქვა სასწრაფომ მომაკვდავი ბავშვის გადაყვანაზე უარი?

იური ვაზაგაშვილი: „ირაკლი ფირცხალავას ოჯახზე სკანდალური ინფორმაციები მაქვს“

გვ.4

ჰესიანობა ყაზბეგში

გვ.5

„გააღვიძეთ მწვანე გია, სანამ ჰესი აუგიათ“

27 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
მაო ძედუნი
8 ლარი



2 თბილისში ბუნებრივი აირით სამი ადამიანი გარდაიცვალა

3 პოლიციის ყოფილ თანამშრომელ მაიზერ ლიპარტელიანს პატიმრობა შეეფარდა

5 ვოვა არუთინიანის საქმე არ გადაიხედება

4 რა პირობებში მსახურობენ ქართველი სამხედროები

ანი მიროტაძე: „შევარდნაძე-სააკაშვილის ეპოქა ერთად სრულდება“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობისა და „ეროვნული ფორუმის“ წევრ ანი მიროტაძესთან

– დედაქალაქის მერის დამნაშავეობა-უდანაშაულობა დღეს ყველაზე ხმაურიან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემად იქცა. პროკურატურის მიერ საკმაოდ მძიმე დანაშაულში ბრალდებული მერის არც ერთი ბრალდება სასამართლომ არ გაიზიარა. გიგი უგულავა ამ დრომდე უდანაშაულოა....

– საინტერესო პროცესი დაიწყო. ძალიან ბევრი რამე აიღო საკუთარ თავზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ. სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ, სამწუხაროდ, პოლიტიკურ რინგზე კოტე კუბლაშვილი ღიად გამოიყვანეს. ეს შეცდომაა სააკაშვილის მხრიდან და თავად კუბლაშვილის მხრიდანაც და კიდევ ერთხელ მიდასტურებს საკმაოდ საფუძვლიან ეჭვს, რომ ყოფილი მმართველი გუნდი პოლიტიკურ აგონიაშია. რაც შეეხება პროკურატურის მიერ უგულავაზე წაყენებული ბრალის სათანადო დასაბუთებას და იმას, რამდენად კვალიფიციურად მუშაობს კბილაშვილის უწყება, იმ სასამართლო პროცესებზე გამოჩნდება, რომელიც ყველასთვის ღია იქნება. თქვენ იცით, რომ 1 მარტიდან ძალაში შედის ჩვენ მიერ მიღებული კანონი, რომელიც სასამართლო დარბაზებში ფოტო, ვიდეო და აუდიო გადაღების შესაძლებლობას მისცემს მედიის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი რამე გაირკვევა. რაც შეეხება გიგი უგულავას, ჩემთვის სულერთია, მას ახლა აღმკვეთი ღონისძიება შეეფარდება თუ არა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რამდენად დაარწმუნებს პროკურატურა საზოგადოებას იმაში, რომ ქალაქის მერზე წაყენებულ ბრალს პოლიტიკური სარჩული არ აქვს. მე, რა თქმა უნდა, ჩემი მოსაზრებები მაქვს და მიმაჩნია, რომ უგულავა ბევრად უფრო მეტ საეჭვო საქმესთან არის დაკავშირებული, ვიდრე ამას გამოძიება ედავება, მაგრამ ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა და არაფერს ვამტკიცებ.

– მაგრამ საკმაოდ ხმამაღალ განცხადებას აკეთებთ, საუბრობთ სხვა საეჭვო საქმეებზე....

– არაფერს ვამტკიცებ, სამხილების და მტკიცებულებების მოპოვება გამოძიების პრეროგატივაა, მაგრამ ვინაიდან ჩემი ჟურნალისტიკაში ყოფნის დროს ბევრი საინტერესო ინფორმაცია ჟონავდა საკმაოდ ბევრ მაღალჩინოსანზე და მათ შორის გიგი უგულავაზე, მიმაჩნია, რომ კბილაშვილის უწყებას საკმაოდ ბევრი სამხილის მოძიება შეუძლია. მაგალითად, საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, როგორ ხორციელდებოდა პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროექტები, ძალიან ბევრ ინფორმაციას ფლობენ სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც ჩემი ინფორმაციით, მშენებლობაზე ნებართვებს დედაქალაქის მერიიდან სწორედ მავანთა გარკვეული ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ იღებდნენ. ვინ, რას და რატომ ითხოვდა, ეს უკვე გამოძიების საქმეა; მიწების პრივატიზაციის პროცესი როგორ მიმდინარეობდა, ამაზე ჯერ კიდევ ადეიშვილის იუსტიციის მინისტრობის დროს არის შესაბამისი დოკუმენტები მოძიებული და ჩემი ინფორმაციით, საკმაოდ მრავალტომიანი ქეისი დევს კბილაშვილის უწყებაში. ეს საკითხი ყველაზე კარგად მამუკა ახვლედიანმა უნდა იცოდეს...

– თქვენ ფიქრობთ, რომ უგულავა დამნაშავეა?

– მე ძალიან მინდა, მისი უდანაშაულობაც და დამნაშავეობაც (თუ რა თქმა უნდა ბრალი წაუყენეს), დასაბუთებული იყოს.

–ყოფილი მმართველი გუნდი მის დასაცავად სრულად არის მობილიზებულია. „ნაციონალური მოძრაობის“ ბრძოლის მთავარი ხაზი ახლა თბილისზე და გიგი უგულავაზე გადის?

– არა, ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, უგულავა ერთ-ერთი სუსტი რგოლია მათთვის და ძალების სრული მობილიზებაც სწორედ ამიტომ ხდება.

– უგულავას მხარდამჭერ აქციაზე ასეთი მოწოდებაც გაისმა – არ დავუთმოთ თბილისი ბიძინა ივანიშვილს და ქართულ ოცნებას.

– თბილისი და პრინციპში მთელი საქართველო ნაციონალურმა მოძრაობამ საბოლოოდ პირველ ოქტომბერს დათმო. სხვათა შორის, მათ თბილისში წააგეს 10-ვე მაჟორიტარული ოლქი და დედაქალაქის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმეტესობამ ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა. თქვენ გახსოვთ, ალბათ, რომ ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ხალხის ოპოზიციაში გადავიდა. ეს იყო მიხეილ სააკაშვილის დიდი ტაქტიკური შეცდომა და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური განაჩენი.

– ვერ დაგეთანხმებით, დღეს თქვენი მთავარი პოლიტიკური ოპონენტი „ნაციონალური მოძრაობაა“ და უნდა აღიაროთ, რომ ბევრ პრობლემასაც გიქმნით. ისინი თქვენზე კარგად ფლობენ პოლიტიკურ და პიარ-ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 19 აპრილის აქციაც დააანონსა.

– მე მოვერიდებოდი ხმაურიანი თარიღის დაკიდებას პოლიტიკურ კალენდარზე, ბევრი რისკის შემცველია ხოლმე ასე თარიღების ჩამოკიდება. განსაკუთრებით იმ მძიმე რეალობაში, რომელშიც ისინი იმყოფებიან. მათ, 4-თვიანი მიზანმიმართული და თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, რომ თავი დაეფიქსირებინათ ერთადერთ ძლიერ ოპოზიციად, საზოგადოება დამნაშავეებად აღიქვამს. ყოფილი მმართველი გუნდის ამნისტირებაზე საზოგადოება ჯერ არც კი ფიქრობს. ეს მათთვის ძალიან მძიმე სიტუაციაა და ძირითადი პრობლემაც ეს არის. ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს პანიკური შიში იმის, რომ არ გაიზიაროს წინამორბედი მმართველი პარტიების ბედი და ამ პანიკით უფრო უახლოვდება ამ საშიშროებას. მე მგონია, რომ მათ 19 აპრილის დაანონსებით მეორე თარიღი დადეს. პირველი თარიღი 2003 წლის 23 ნოემბერი იყო....

– დასასრულის თარიღი?

– დიახ!

– ვერ დაგეთანხმებით!

– შეგიძლით არ დამეთანხმოთ, მაგრამ მე კანონზომიერებების მჯერა.

–„ნაციონალური მოძრაობა“ გამოცდილი პოლიტიკოსებისაგან შედგება. ისინი კარგად მუშაობენ ქვეყნის გარეთ, მთავარ პოლიტიკურ დღის წესრიგსაც ისინი ქმნიან.

– ეს ძალიან დროებითი მოცემულობაა. მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური მამა, ედუარდ შევარდნაძეც გამოცდილი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ წავიდა, იძულებით! მე ვფიქრობ, მოქალაქეთა კავშირი და ნაციონალური მოძრაობა ერთი ეპოქის ორი ნაწილი იყო, რომელი ეპოქაც ამ გუნდის ხელისუფლებიდან წასვლით სრულდება. როდესაც კანონზომიერებაზე ვამბობ, ამასაც ვგულისხმობ. შევარდნაძე-სააკაშვილის ეპოქა სრულდება ერთად. ჩვენ ახალ რეალობაში შევდივართ. რაც შეეხება გამოცდილ პოლიტიკოსებს, გეთანხმებით, რომ მათ აქვთ საკმაოდ მაღალი პოლიტიკური კლასი, მაგრამ მათი გამოცდილება ახალ რეალობასთან შეუსაბამოა. რამდენიმე პოლიტიკური სახის გარდა, მე მათ პოლიტიკურ მომავალს ვერ ვხედავ.

– ვინ შედიან იმ „რამდენიმე პოლიტიკურ სახეში?“

– მათ შორის რამდენიმე ჩემი კოლეგაა – პარლამენტარი. გვარების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ.

– მაგალითად, დავით ბაქრაძე?

– დავით ბაქრაძემ ჯერ არჩევანი უნდა გააკეთოს – მიჰყვება სააკაშვილს წარსულში თუ საკუთარ სახეს ინარჩუნებს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილი წარსულის პოლიტიკოსია?

– მე ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ არა მხოლოდ მე. როგორც ჩანს, მანაც კარგად იცის, რომ ეს ასეა. მისი ამდენი შეცდომაც წარსულად ქცევის შიშს უკავშირდება.

– მარტის ბოლოს პარლამენტში ელოდებით?

– მას აქვს უფლება, წარდგეს პარლამენტის წინაშე და ამ უფლებას არც არავინ უზღუდავს, მაგრამ მისი ვალდებულებაა, პატივი სცეს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს. სხვათა შორის, არანაირი კითხვა არ მაქვს მასთან, ერთადერთი კითხვის გარდა – თვლის თუ არა თავს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლად და თუ ასეა, მაშინ რატომ უწყობს საკუთარ ქვეყანას პოლიტიკურ საბოტაჟს და რატომ ჩაუდგა საკუთარ ხალხს ოპოზიციაშია?!

– კულუარებში ამბობენ, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ ვანო მერაბიშვილის კანდიდატურას დაასახელებსო.

– რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, მას ჯერ 19 აპრილის დიდი ნაციონალური თავყრილობა-გადათვლა აქვს ჩასატარებელი. ისე ძალიან საინტერესოა, როგორ დადგება იმ რუსთაველზე, სადაც 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის შემდეგ პირბადეაკრულმა დამრბევებისაგან პატაკი მიიღო და 26 მაისის სისხლიანი რუსთაველის გადარეცხვის შემდეგ სააკაშვილთან ერთად აღლუმი ჩაიბარა?! მის საპრეზიდენტო კანდიდატობაზე საუბარი, ჩემი აზრით, არასერიოზულია.

– და კოალიციის კანდიდატზე საუბარი?

– ზოგადად, საპრეზიდენტო კანდიდატებზე ახლა საუბარია ნაადრევია. ხელისუფლების ძირითადი პრიორიტეტები განსაზღვრულია, რისი განხორციელებაც უნდა დაიწყოს. გარდა ამისა, საზოგადოება ჩვენ მიერ გაცემული დაპირებების შესრულებას ელოდება. ხალხმა ჯერ უნდა დაინახოს, რატომ გააკეთა არჩევანი ბიძინა ივანიშვილზე და მის გუნდზე. არ არის მართალი, როდესაც ამბობენ, რომ პირველ ოქტომბერს გაბრაზებულმა ამომრჩეველმა მიიღო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებას ხელი ციხის სკანდალურმა კადრებმა შეუწყო. ეს ასე არ არის. ხალხმა უარი უთხრა 9-წლიან რეჟიმს და არჩევანი გააკეთა ახალი საქართველოს მშენებლობისა. ჩვენ ეს მშენებლობა დავიწყეთ და ეს ბევრად მნიშვნელოვანი პროცესია, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ შემოთავაზებული პროვოკაციული პოლიტიკური დღის წესრიგი.

– 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის მზადება უკვე დაიწყეთ?

– კოალიცია „ქართული ოცნება“ სამივე – სამტრედიის, ბაღდადის და ნაძალადევის საარჩევნო ოლქში დაასახელებს კანდიდატებს. ამ დროისთვის არც ერთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

საკონსტიტუციო სასამართლოში დღეს მწვანეთა პარტიის სარჩელის განხილვა გაიმართება

ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დღეს, „მწვანეთა პარტიის“ ეკოლოგიური სარჩელის არსებითი განხილვა გაიმართება.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საქართველოს ეკოციდის კანონის გაუქმების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 20 მარტს პარლამენტმა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონსა და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები შეიტანა, რომლის მიხედვითაც თუ მეწარმე განსაზღვრულ თანხას გადაიხდის, მის მიერ გარემოს დაცვის სფეროში ჩადენილი ყველა დანაშაული კანონიერად ჩაითვლება და მას არანაირი სახის პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრება.

ნიუსპრესი

თბილისში ბუნებრივი აირით სამი ადამიანი გარდაიცვალა

თბილისში გაზით მოწამვლის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. თემქის მესამე მიკრორაიონში გუშინ დილით სამი გარდაცვლილი ადამიანი იპოვნეს.

გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივი აირით მოწამვლა სახელდება, თუმცა ჯერჯერობით დაუდგენელია რამ გამოიწვია გაზის გაჟონვა.

ბინაში გაზის გამათბობელი და წყლის გამაცხელებელი იყო დამონტაჟებული. სამივე გარდაცვლილის ვინაობა უკვე ცნობილია.

ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

თეა წულუკიანმა ნატოს შტაბბინაში შეხვედრები გამართა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბბინაში შეხვედრები გამართა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, თეა წულუკიანმა ნატოში ვიზიტი კავკასიასა და შუა აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ჯეიმს აპატურაისთან შეხვედრით დაიწყო, მოგვიანებით კი სამუშაო შეხვედრა გენერალური მდივნის მოადგილესთან ალექსანდრ ვერშბოუსთან გამართა. სასაუბრო თემა საქართველოში სამართლებრივი სისტემის რეფორმირების საკითხი იყო.

შეხვედრების დასრულების შემდეგ იუსტიციის მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაში, სადაც თეა წულუკიანი მოხსენებით წარსდგა ნატოს წევრი 28 ქვეყნის ელჩის წინაშე. მოხსენების მთავარი თემა იუსტიციის სამინისტროს მიერ უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი რეფორმები იყო.

მიმართვის დასრულების შემდეგ თეა წულუკიანმა ნატოს წევრი ქვეყნების ელჩების კითხვებს უპასუხა.

ნიუსპრესი

საინიციატივო ჯგუფი რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს

საინიციატივო ჯგუფი პრეზიდენტის არჩევითობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს და ამისთვის ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

საინიციატივო ჯგუფი და მათი ინიციატივა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე დაარეგისტრირა.

საინიციატივო ჯგუფის წევრის, იანა ხუციშვილის განმარტებით, მოქალაქეების გადასაწყვეტია, სურთ თუ არა, რომ პრეზიდენტი პარლამენტმა აირჩიოს.

აღნიშნული საკითხის რეფერენდუმზე გასატანად მათ 200 ათასი ადამიანის ხელმოწერა სჭირდებათ.

,,ჩვენ გვაქვს სამი თვე. ამ სამ თვეში უნდა შევაგროვოთ 200 ათასი ხელმოწერა და შემდეგ უკვე გადაწყვეტენ, როდის დაინიშნება რეფერენდუმი. თუკი ეს მოხდება, ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს, სურს თუ არა მას, რომ საქართველოში პრეზიდენტი აირჩიოს პარლამენტმა“, – განაცხადა იანა ხუციშვილმა.

მედიანიუსი

დევნილთა სამინისტრომ უსახლკარო დევნილს ბინა გადასცა

ცხინვალის რეგიონიდან დევნილმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზაურ ხადურმა, რომელიც თბილისში კარავში ცხოვრობდა, გორში საკუთარი ბინა მიიღო.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ თავად უზრუნველყო მისი თბილისიდან გორში ტრანსპორტირება და საჭირო აუცილებელი ინვენტარიც (საწოლები, თეთრეული, პლედები, გამათბობელი, სამზარეულოს ნიჟარა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები) გადასცა.

83 წლის დევნილი მხოლოდ ეტლით გადაადგილდება და მხედველობაც დაკარგული აქვს. ზაურ ხადურმა ერთოთახიანი ბინა ყოფილი მე-7-ე ბაღის შენობაში მიიღო, რომელიც დევნილი მოსახლეობისთვის დევნილთა სამინისტრომ გაარემონტა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სააკაშვილი ადეიშვილს პანღურებს ურტყამდა

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ „ეროვნულების“ ერთ-ერთ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

– ბატონო სანდრო, საკმაოდ ხშირად ისმის საზოგადოების მხრიდან, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი იწელება ქვეყანაში. რას უპასუხებდით ამაზე საზოგადოებას?

– დიახ, ხშირად მესმის ასეთი საყვედურები და მე ამ შემთხვევაში ჩემს შეფასებებში ვიქნები ორიგინალური, სხვა შეფასებებისგან აბსოლუტურად განსხვავებული. სამართლიანობის აღდგენის ტემპები ნელა მიმდინარეობსო, მე კი აბსოლუტურად პირიქით ვფიქრობ ამ საკითხთან დაკავშირებით და მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას. მე ვფიქრობ, რომ სწორედაც რომ ძალიან კარგი ტემპებით მიმდინარეობს სამართლიანობის აღდგენა. შეიძლება, ბევრი ადამიანი დღეს არის სისხლს და ვინმეს დასჯას მოწყურებული, ეს ჩემთვის გასაგებია, იმიტომ რომ ამ ადამიანებმა 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის ავტოკრატიული რეჟიმისგან ძალიან ბევრი რამ იწვნიეს, ისევე, როგორც მე და სხვა ბევრმა ადამიანმა. მაგრამ სამართლიანობის აღდგენა არ გულისხმობს მარტო ვინმეს დაჭერასა და დაპატიმრებას და მათ დილეგებში ჩასმას. მე ვფიქრობ, რომ სამართლიანობის აღდგენა, პირველ რიგში, არის ის, რაც დღეს ხდება.

– კონკრეტულად რა?

– ის, რომ ჩვენი პროკურატურა, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები ემსგავსებიან ევროპული ტიპის სამართალდამცავ ორგანოებს. სწორედაც ევროპაში და თუ ვინმეს ჩემი არ სჯერა, შეუძლია, თავად იხილოს. იქ საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა ის, რომ ადამიანებს აპატიმრებენ მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ანუ ის, რომ ეკონომიკური სახის თუ სხვა შედარებით მსუბუქ დანაშაულზე პროკურატურა არ ითხოვს დაპატიმრებას, მე ამას პროკურატურის მინუსად არ ვთვლი, პირიქით, პროკურატურის პლუსად ვთვლი და ვფიქრობ, რომ არჩილ კბილაშვილი დღეს არის ევროპული დონის პროკურორი. ამას ვაცხადებ თამამად.

– თუმცა, სასამართლო რომ სერიოზულად უშლის ხელს მუშაობაში, ამაში უნდა დამეთანხმოთ.

– სასამართლოს შეფასებაზე შემდგომში გადავალ. მე ჯერ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაზე მაქვს საუბარი. არჩილ კბილაშვილი ევროპული დონის პროკურორია. თუ გადავავლებთ თვალს ევროპაში მიმდინარე პროცესებს, დავინახავთ, რომ იქ ძალიან ფართოდ არის გამოყენებული არასაპატიმრო ღონისძიებები წინასწარი გამოძიების პირობებში. აქედან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენა და დამყარება ადამიანების დაჭერითა და დაპატიმრებით კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ უნდა დავიწყოთ სამართლიანი, ჰუმანური სისტემის ჩამოყალიბებით, რომელიც დღეს ყალიბდება. მხოლოდ და მხოლოდ იმ დროს უნდა დააპატიმრონ ადამიანები, როდესაც მათ უკვე რეალურად ბრალდება დამტკიცებული აქვთ. აქედან გამომდინარე, ისინი, ვინც პროკურატურას სისუსტედ უთვლიან იმას, რომ პროკურატურა ბევრ ხალხს არ იჭერს, მე ამას პროკურატურას ვუთვლი პლუსად. აბა, რა ვქნათ, სააკაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ პროკურატურას უნდა დავემსგავსოთ, სადაც ადეიშვილი და მისი ამფსონები პირადი შეხედულების მიხედვით ყველა ადამიანს აპატიმრებდნენ?! ჩვენ, რა თქმა უნდა, ეს არ გვინდა, ჩვენ გვინდა, რომ ეს მანკიერი სისტემა, რომელიც ადეიშვილმა და სააკაშვილმა დანერგეს საქართველოში, შეიცვალოს და ჩვენ მივდივართ ამ გზით.

– რაც შეეხება სასამართლოს?

– რაც შეეხება სასამართლოს, მე თქვენ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით: არევაძე, რომელმაც გაათავისუფლა უგულავა, გახლდათ პირადად ჩემი მოსამართლე, რომელმაც დადგმული სპექტაკლისა და პროვოკაციის ანუ ქუჩაში ჩხუბის გამო ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მომისაჯა. ჩხუბის გამო, რა დროსაც ოთხი ადამიანი დამესხა თავს, სადაც არც ერთს არანაირი დაზიანება არ მიუღია. იქ იყო მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა. სიტყვიერი შელაპარაკების გამო საპატიმროში გამიშვა და გლდანის ციხის ჯურღმულებში მაწამეს. პირდაპირ ასე დაწერეთ – არევაძე ნაძირალამ გააკეთა ეს. ეს არევაძე კი დღეს ათავისუფლებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მკვლელობასა და წამებაში არიან ეჭვმიტანილები. როდესაც არევაძეები და ჩემიები არიან სასამართლოში და სასამართლოს თავში არის თავიდათავი ყველა უბედურებისა ამ ქვეყანაზე, კუბლაშვილი, რა თქმა უნდა, აქ დამოუკიდებელ სასამართლოზე ლაპარაკი ზედმეტია. კი, სასამართლო უნდა იყოს ჰუმანური, მაგრამ არა არევაძის, ჩემიასა და კუბლაშვილის ხელში. სასამართლო აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ყველა მოსამართლეზე ვერ ვიტყვი, მაგრამ მოსამართლეების 80% უნდა წავიდეს არა მარტო სასამართლო სისტემიდან, არამედ იურისპრუდენციიდან და უნდა მოვიდნენ მართლაც დამოუკიდებელი მოსამართლეები, რომლებიც დასავლურ ღირებულებებზე დაყრდნობილი სასამართლოს პრინციპებით ჰუმანურები იქნებიან, რომლებიც იმაზე კი არ იქნებიან ორიენტირებული, რომ ადამიანები დილეგში ჩააგდონ და შემდგომში პატიმრობა შეუფარდონ, არამედ ისინი მოწადინებული უნდა იყვნენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი იყოს საპყრობილეში, თუმცა, სანამ იქნებიან არევაძე, ჩემია, კუბლაშვილი, რომლებიც დამნაშავეები არიან, მანამ სასამართლოს არაფერი ეშველება.

– თქვენ განაცხადეთ, რომ კუბლაშვილი დამნაშავეა. საუბარია იმის შესახებ, რომ მას მოსამართლეები იურიდიული განათლების გარეშე ჰყავდა დანიშნული. რამდენად არის იმის შანსი, რომ დადგეს მისი იმპიჩმენტის საკითხი?

– კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესია, იმიტომ რომ კუბლაშვილი დღეს არის წითელი მოსამართლე. კუბლაშვილი იყო ტროიკის წევრი. ხომ გახსოვთ, 30-იან წლებში იყო ტროიკა, სამი ადამიანი შეიკრიბებოდა, გამოიტანდა განაჩენს და ადამიანებს ხვრეტდა. კუბლაშვილი არის ტროიკის ერთ ერთი მთავარი შემოქმედი. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც ყველაზე დიდი დანაშაული მიუძღვით ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები ადამიანების წინაშე. სწორედ კუბლაშვილის მითითებით ხდებოდა ის საშინელებები ციხეში. მან ყველაფერი მშვენივრად იცოდა. იცოდა, როგორ აწამებდნენ იქ ადამიანებს. ძალიან მიკვირს მისი ძმის, რომელსაც ელემენტარული ზნეობა არ გააჩნია, გამოდის პარლამენტში და რაღაცებს ბოდავს. ძმები კუბლაშვილები არიან ფურუნკულები ქართველი საზოგადოებისა, რომლებიც უნდა მოგვცილდნენ, ხოლო კოტე კუბლაშვილმა, არევაძემ, ჩემიამ პასუხი უნდა აგონ დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე. მე ძირითადად ამ სამ გვარს ვახსენებ, თუმცა, ასეთები ძალიან ბევრნი არიან. ცოტა სულსწრაფობად მიმაჩნია საზოგადოების მხრიდან ასეთი განცხადებები, რომ რატომ არ აპატიმრებს კუბლაშვილი ყველას, რატომ არ აპატიმრებს ღარიბაშვილი ყველას, იმიტომ იქცევიან ასე, რომ სამართალდამცავი უწყებები მოთავსდნენ დასავლურ და ცივილიზებულ ჩარჩოებში, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ევროკავშირამდე, ევროპასთან ინტეგრაციამდე. აბა, რა აზრი ექნება, წავიდნენ კუბლაშვილი, ადეიშვილი და მათ ადგილას მოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მათ გზას გააგრძელებენ? არამცდაარამც, არავითარ შემთხვევაში, თუმცა, რა თქმა უნდა, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ციხის ჯალათებისა და სხვა ადამიანების მკვლელები უნდა იყვნენ საპატიმროში და, ალბათ, ეს ასეც იქნება.

– ბაჩო ახალაიას გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვენ. ამის შესახებ რას იტყვით?

– კუბლაშვილი და ახალაია ერთი დანაშაულებრივი სისტემის ორი შემადგენელი ნაწილია. კუბლაშვილი ემორჩილება მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილს და გააკეთებს იმას, რასაც სააკაშვილი უბრძანებს. სააკაშვილმა რომ უთხრას, ადექი და თავი დაიწვინო, ისიც ადგება და დაიწვავს თავს. მე მახსოვს კუბლაშვილი, როდესაც სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი, ის მისი მოადგილე იყო. სინამდვილეში კი ის იყო სააკაშვილის ხელის ბიჭი. მე ხომ ვაკვირდებოდი, მაშინ პარლამენტის დეპუტატი ვიყავი. სააკაშვილს მეგობრები, ძმაკაცები, ახლობლები არ ჰყავს. მას ჰყავს მონები. თქვენ რა გგონიათ, ან ადეიშვილი იყო სააკაშვილის მეგობარი? ადეიშვილი იყო სააკაშვილის მონა. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, პარლამენტის ფოიეში როგორ ურტყამდა სააკაშვილი პანღურებს ადეიშვილს. სააკაშვილს არ ჰყავს მეგობრები, მას ჰყავს მონები, რომლებიც მის ყველა ნება-სურვილს ასრულებენ. სააკაშვილს არ შეუძლია მეგობრობა. მას ხომ ბავშვობიდან მეგობარი არ ჰყოლია. ის რომ ხელისუფლებაში მოვიდა, პირველად თავისი კლასელი დაიჭირა. სააკაშვილს არ უცხოვრია ისეთი ცხოვრებით, როგორითაც ნორმალური ადამიანები ცხოვრობენ, რომლებმაც იციან მეგობრობა, ნათესაობა, ახლობლობა, რომლებმაც იციან ოჯახის პატივისცემა, რომლებმაც იციან ის, რომ მეგობრისა და ახლობლის ცოლს ცუდი თვალით არ უნდა შეხედონ. ეს ყველაფერი ხომ მათთვის უცხოა. ეს სულ სხვა საზოგადოება იყო. მათ მუტანტები დაარქვეს და ასეცაა, გარეგნობითაც ჰგავდნენ მუტანტებს და ისედაც მუტანტები იყვნენ, რომელთათვისაც ყოველგვარი ზნეობა და ტრადიციები უცხო იყო. დღეს ჩვენ უნდა დავიწყოთ აბსოლუტურად ახალი საზოგადოების მშენებლობა.

– აპრილი გვაქვს წინ და რას ფიქრობთ მათ მიერ დაანონსებულ აქციაზე?

– ვანო მერაბიშვილს თუ უნდა, ზვიად გამსახურდია ან მერაბ კოსტავა გახდეს, ეს მე სასაცილოდაც არ მყოფნის. კარგით რა, რა აპრილის აქციები... რა იციან ამათ აქციების. ჩვენ რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრები ვიყავით, მაშინ ესენი ზოგი კომკავშირის მდივანი იყო და ზოგიც უშიშროების სამსახურებში მუშაობდა. არაფერი არ იქნება, უბრალოდ, შესაძლებელია, ათას კაცამდე მოაგროვონ, ის ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივად მათთან არის გადაჯაჭვული და მოაწყონ პროვოკაცია. აი, ეს შეუძლიათ მათ, თორემ იქ მრავალათასიანი აქცია და მიტინგი გამორიცხულია. ამას ვერასოდეს მოახერხებენ. უბრალოდ, პროვოკაციის მოწყობა შეუძლიათ. სხვათა შორის, სერიოზული პროვოკაციის მოწყობა შეუძლიათ და ამისთვის სამართალდამცავი ორგანოები მზად უნდა იყვნენ. სამართალდამცავმა ორგანოებმა, რა თქმა უნდა, უნდა უზრუნველყონ მათი შეკრება, მაგრამ, ამავე დროს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან პროვოკაცია. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ სააკაშვილის თითოეული ქმედება დასავლეთსა და დასავლეთში ივანიშვილის ხელისუფლების დისკრედიტაციაზეა გათვლილი. საქართველოში რომ მას არანაირი მხარდაჭერა არა აქვს, ეს ჩვენზე კარგად იცის. იმიტომაც არის, რომ ამბობს დღეს, ბევრი შეცდომა დავუშვიო და ასე შემდეგ... რა შეცდომა, შეცდომა გამოსწორებადია, დანაშაულები გაქვს ჩადენილი, ჩემო მიხეილ! აი, ეს არის ყველაზე ცუდი რამ. დანაშაულის გამოსყიდვა ეკლესიაში წასვლითა და მონანიებით არის შესაძლებელი. სააკაშვილს თუ მართლაც სინანულის გრძნობა გააჩნია, მე მას და მის მთავრობის წევრებს ვურჩევდი, თუ უნდათ, ფიზიკურად და სულიერად თავი გადაირჩინონ, თავი მიანებონ პოლიტიკურ მოღვაწეობას, წავიდნენ მონასტერში და ღმერთს შესთხოვონ პატიება იმ დანაშაულებისა და ავხორცობის გამო, რომელსაც 9 წლის განმავლობაში ჩადიოდნენ. ღმერთი თუ შეუნდობს, თორემ ამქვეყნად არ არსებობს არც ერთი ორგანო, რომელსაც მათი ცოდვების ჩამორეცხვა შეუძლია.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის, აჭარაში ორი ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავა.

„სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე თამაზ მღებრიშვილი და ამავე სამინისტროს საწარმოთა მართვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი აბესალომ გურგენიძე. ასევე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნა მიცემული ლუხუმ კაპანაძე და სერგი კაკალაშვილი, რომლებიც ამჟამად მიმალვაში იმყოფებიან.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სააქციო საზოგადოება ბათუმის ქიმიურ ფარმაცევტული ქარხნის დაუფლების მიზნით, რომლის 76 % ბრალდებულები - კაპანაძე და კაკალაშვილი ფლობდნენ, დანაშაულებრივად გაურიგდნენ მღებრიშვილს და გურგენიძეს. მათ ერთად შეიმუშავეს გეგმა რითიც კომპანია გაკოტრებულად გამოცხადდა. ამის გამო სახელმწიფომ 3 მილიონ ლარზე მეტი იზარალა. საქმეში გამოვლინდა სხვა დანაშაულებებიც“-ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

ნიუსპრესი

ბაჩო ახალაიას სხდომა დღეს გაგრძელდება

თბილისის საქალაქო სასამართლოში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებული თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები: ბაჩო ახალაია, გიგი კალანდაძე და ზურაბ შამათავა და სხვა პირების მოსამზადებელი სასამართლო სხდომა დღეს 14.00 საათზე გაგრძელდება.

როგორც ბაჩო ახალაიას ადვოკატმა მაღლაზ ველიჯანაშვილმა ჟურნალისტებს განუმარტა, დაცვის მხარემ პროტესტის ნიშნად შუამდგომლობა არ დააყენა იმის გათვალისწინებით, რომ ის მტკიცებულებები, რომელიც აქვს ბაჩო ახალაიას, მის ბრალეულობას გამორიცხავს.

მისი თქმით, ასეთი იყო თავად ბრალეულის პოზიციაც.

„ამის დამადასტურებელი უამრავი ვიდეომასალა არსებობს და არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, როგორ მიმდინარეობდა მათი დაკითხვა ზეწოლის ქვეშ, ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ. რაც შეეხება დღევანდელი სხდომის გადადებას, მოსამართლე დაახლოებით 13.00 საათიდან გავიდა სათათბირო ოთახში ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ბრალეულობების დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით. ადვოკატებისთვის არც შეუტყობინებია. ამის შესახებ სხდომის მდივნისგან შევიტყვეთ“, – განაცხადა ველიჯანაშვილმა.

რაც შეეხება საქმეში ბრალდებულ გაგა მკურნალიძის მიერ ჩვენების შეცვლას, ველიჯანაშვილის თქმით, არსებობს ერთი დაზარალებული – ზურაბ აბესაძე და არსებობენ მოწმეები: გიორგი კინწურაშვილი და მანუჩარ ბარათელია, რომლებმაც ჩვენება შეცვალეს. აქედან გამომდინარე, ამ საქმეში არცერთი მოწმე არ არსებობს და ბრალზე, რაც წაყენებული აქვს ბაჩო ახალაიას, მტკიცებულებები არ გააჩნია ბრალდებულ მხარეს.

ველიჯანაშვილის თქმით, ხვალინდელ მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარე დააყენებს შუამდგომლობას ახალაიასთვის აღმკვეთი ღონისძიების 50 000-იანი ლარით გირაოს შეფარდებით.

მედიანიუსი

პოლიციის ყოფილ თანამშრომელ მაიზერ ლიპარტელიანს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე პოლიციის ყოფილ თანამშრომელს, მაიზერ ლიპარტელიანს აღმკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

ამავე საქმეში მონაწილე მეორე პოლიციელი ლევან ლობჟანიძე 5 ათასი ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

ყოფილ პოლიციელებს ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებაში, შესაბამისად, ცრუ ჩვენებაში ეედებათ ბრალი, რაც კანონით დასჯადია.

შეგახსენებთ, რომ ბუტა რობაქიძის საქმის ხელახალი გამოძიების დროს, აღნიშნულმა პოლიციელებმა ჩვენებაში განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი არ ყოფილა. შსს ყოფილი მაღალჩინოსნის ირაკლი ფირცხალავას მიერ რობაქიძის მკვლელობის ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ კი, ჩვენება შეცვალეს და განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი ნამდვილად იყო.

მედიანიუსი

რატომ თქვა სასწრაფომ მომაკვდავი ბავშვის გადაყვანაზე უარი?

შშმ პირთა დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობა კვლავ გრძელდება

მერი ნამორაძე

გუშინ სახალხო დამცველმა საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაწესებულებებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის ანგარიში წარუდგინა. თავად სახალხო დამცველი, უჩა ნანეიშვილი ეთთობ ყმაყოფილი დარჩა იმ ფაქტით, რომ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები კი არ ისმენდნენ მის ანგარიშს, არამედ ის უწყებებიც, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შშმ პირების უფლებების დაცვაზე, კერძოდ განათლებისა და სოციალური დაცვის სამინისტროები. ანგარიში სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მომზადდა, რომელმაც მონიტორინგი განახორციელა 13 სახელმწიფო ინტერნატულ დაწესებულებაში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ბავშვები იყვნენ განთავსებულნი, მათ შორის იყო თბილისისა და მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლები, სენაკის და ყოჯორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლები, დუშეთის, მარტყოფის და ქერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატები, ასევე შშმ ბავშვებისათვის განკუთვნილი საჯარო სკოლები.

პრევენციული ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები. როგორც აღმოჩნდა, 2010 წელთან შედარებით ვითარება ამ დაწესებულებებში გარკვეულწილად გაუმჯობესებულია, თუმცა კვლავ აქვს ადგილი არასათანადო მოპყრობას როგორც ბავშვთა, ისე ზრდასრულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში. დაფიქსირდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკური შეზღუდვის ფაქტები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით. განსაკუთრებით მძიმე დარღვევები დაფიქსირდა შშმ ბავშვთათვის სამედიცინო მომსახურების შეზღუდვის კუთხით. მათ შორის აღსანიშნავია ჰიდროცეფალიის დიაგნოზის მქონე ბავშვთათვის სამედიცინო ჩარევისა და პალიატიური ზრუნვის განხორციელებაზე უარის თქმა. უკლებლივ ყველა დაწესებულებაში შეზღუდული იყო ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურება. ფაქტიურად არავის ეძლევა შესაძლებლობა განივითაროს ფუნქციური უნარები და დამოუკიდებელი ცხოვრების ჩვევები. შშმ პირებს შეზღუდული აქვთ როგორც სამართლებრივი დახმარების, ისე პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება. ისინი ვერ ახერხებენ, შეინარჩუნონ კავშირები საკუთარ შვილებთან და ოჯახის სხვა წევრებთან. როგორც სახალხო დამცველის ოფოსის წარმომადგენელმა, ანა არგანაშვილმა განაცხადა, შშმპ-თა მიმართ ჩადენილი დანაშაულები დაფარული რჩება საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს დანაშაული თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ან ინსტიტუციებში განთავსებული ადამიანების მიმართ ხორციელდება.

მონიტორინგის პერიოდში პრევენციის ეროვნული ჯგუფი შეხვდა და ესაუბრა 130-ზე მეტ ბენეფიციარს. სკოლებში ფიქსირდება ბავშვების ცემის ფაქტები გაშლილი ხელით, სახაზავით, რკინის ჯოხით. ჭიათურის მე-12 საჯარო სკოლის ბავშვებს „ეშინიათ დირექტორის. თუ რამე დააშავე, საჭმელი შეიძლება არ გაჭამონ, ოთახში ჩაგკეტონ“; „დირექტორი თუ გაბრაზდა, მტრისას, სილებს ურტყამს როცა გააბრაზებენ, გოგოებსაც ურტყამს“. „თვითონ სვამს არაყს და ღვინოს, მოაქვთ ხოლმე გარედან, მისი ძმაკაცებიც სვამენ, რომ თვრებიან, ერთმანეთს ურტყამენ-ხოლმე“, – ამბობს ერთ-ერთი ბენეფიციარი.

თბილისის 202-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა გადმოცემით, ამჟამად ადგილი არ აქვს ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს. 18 წლის მოზარდის განცხადებით: „ადრე მიჭირდა აქ ყოფნა, მასწავლებელი თმებს მწიწკნიდა, მეორე მჩქმეტდა ხოლმე, ახლა ესენი აღარ მუშაობენ“. თუმცა, სერიოზულ პრობლემად სახელდება ადმინისტრაციის მიერ ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარება.

ახალციხის №7 საჯარო სკოლის მოზარდის გადმოცემით, ბავშვები დაწესებულებაში ოთახებს და ტუალეტს ალაგებენ. თავად იგი მეზობლებს ბოსტნის საქმეში, სახლის დალაგებაში ეხმარება ანაზღაურების გარეშე. მასწავლებელმა სახლში წაიყვანა ბიჭებთან ერთად შეშის დასაჩეხად. ერთ-ერთ მასწავლებელს სახლში იატაკიც მოუწმინდეს.

ანალოგიური მოპყრობაა შეზღუდული შეაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებში. ქერის პანსიონატში ბენეფიციარებმა ისაუბრეს დაწესებულების ზოგიერთი თანამშრომლის მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, ასევე შრომითი ექსპლუატაციის განხორციელების შესახებ.

ბენეფიციერთა უმრავლესობას არ გააჩნია სივრცე, სადაც დაცული იქნება მათი პირადი ცხოვრების უფლება. ხშირ შემთხვევაში, კარებს, სადაც ისინი ცხოვრობენ, არ აქვს საკეტი. სენაკის შშმ ბავშვთა დაწესებულების ერთერთი ვაჟი ბენეფიციარის განმარტებით, ის მუდმივად უხერხულად გრძნობს თავს დაწესებულებაში, როცა პირადი ჰიგიენის დაცვის მიზნით სთხოვს დახმარებას პერსონალს. უხერხულობას ქმნის ის ფაქტი, რომ მას სურს დახმარება მამაკაცმა გაუწიოს, თუმცა იცის, რომ ამის შესაძლებლობა დაწესებულებაში არ არის, რადგან იქ არ მუშაობს მამაკაცი მომვლელი. მარტყოფის პანსიონატში მცხოვრებ ქალბატონს, რომელსაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, რომელიც დაბადებიდან რამდენიმე დღეში გადაყვანილი იქნა ზესტაფონის წმინდა ბარბარეს სახელობის ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლში, შეუწყდა კავშირი შვილთან. მხოლოდ რამდენიმე თვეში ერთხელ დაწესებულების ხელმძღვანელის დახმარებით ახერხებს შვილის მონახულებას. ანალოგიურ ვითარებაშია დუშეთის ერთ-ერთი ბენეფიციარი ქალბატონი. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციით მიმართავს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს და სოციალური მომსახურების სააგენტოს, განახორციელონ ბენეფიციართა პირადი ცხოვრების დაცვა და პატივისცემა, რათა არ მოხდეს მათ უფლებებში უკანონო ჩარევა. უნდა შეუწყონ ხელი მათ მაქსიმალურ ჩართულობას საკუთარი შვილების აღზრდის პროცესში.

რაც შეეხება რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროცესს, აღმოჩნდა, რომ მონიტორინგის განხორციელებისას დაწესებულების თანამშრომლებისთვის ხშირად არა თუ რეაბილიტაცია-აბილიტაციის კონკრეტული მეთოდი იყო უცხო, არამედ თავად რეაბილიტაციის ძირითადი არსი და მიზანი. დაწესებულებათა უმეტესობაში საერთოდ არ მუშაობდა პროფესიონალი გუნდი, რომელმაც რეაბილიტაციაში უნდა მიიღოს მონაწილეობა – ფსიქიატრი იქნება, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ორთოპედ-ქირურგი თუ სოციალური თერაპევტი და ასე შემდეგ.

რაც შეეხება ჩვილ ბავშვთა სახლებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, იგი შემოიფარგლებოდა პირველადი ჯანდაცვის მომსახურებით. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, მიუხედავად მრავალჯერადი მოთხოვნისა, მონიტორინგის პერიოდში არ ჰქონდა სადაზღვევო პოლისი რამდენიმე ბენეფიციარს. მათ შორის დაძმას, შაქრიანი დიაბეტისა და დაუნის სინდრომის დიაგნოზით. სადაზღვევო პაკეტი ხშირად ვერ პასუხობს ჯანმრთელობის იმ საჭიროებებს, რომლებიც ჩვილ ბავშვთა სახლებშია. არის შემთხვევები, როცა კონკრეტული დაავადების კოდით გათვალისწინებული თანხის ამოწურვისთანავე ბავშვს აბრუნებენ უკან თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, სადაც არანაირი რესურსი არ არსებობს ვიწრო სპეციალისტების მოწვევისა და კონსულტაციის ჩატარებისთვის. ჩვილ ბავშვთა სახლის პედიატრს უწევს დამატებით მიმართვა სადაზღვევო კომპანიისთვის, რათა დაუსაბუთოს კვლევის ან კონსულტაციის საჭიროება. ამით ჭიანურდება დიაგნოსტირება და შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

აღსაზრდელების ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირად საჭირო ხდება ბავშვის გადაყვანა პედიატრიულ კლინიკებში, რაც ბოლო პერიოდში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ერთ შემთხვევაში, ფაქტიურად მომაკვდავი ბავშვის გადაყვანაზე სასწრაფომ უარი თქვა იმ მოტივით, რომ არც ერთ კლინიკაში არ იყო თავისუფალი ადგილი. ბავშვის გადაყვანა მხოლოდ 5 საათის შემდეგ მოხერხდა, როცა ჯანდაცვის სამინისტრო ჩაერთო საქმეში. ხშირია მაგალითები, როცა დაგვიანებით მიეწოდება სამედიცინო დახმარება ბენეფიციარს და სამედიცინო დახმარების დროული ხელმისაწვდომობა ვეღარ განიხილება. საქმე ეხება ახალშობილებსა და ადრეული ასაკის ან 3 წლამდე ასაკის ბავშვს, როცა პათოლოგიური პროცესები ძალიან სწრაფად ვითარდება და არც სიკვდილია გამორიცხული.

გუშინ ყურადღება გამახვილდა პერსონალის უფლებების დაცვის აუცილებლობაზე. საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ყველა იმ ანგარიშში, რომელიც ეხება სოციალურ სახლებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დაწესებულებებში მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პერსონალის შრომითი უფლებების დაცვას. ჯერ კიდევ 2010 წლის ანგარიშში დაისვა მწვავედ პრობლემები, რომელიც ხელს უშლიდა პერსონალს ვალდებულებების ეფექტურად შესრულებაში. მათ შორის იყო არასათანადო სამუშაო პირობები, დაბალი ანაზღაურება, კომპეტენციის ამაღლების საჭიროება. 2012 წელს ეს პრობლემები კვლავ აქტუალურია ამას ემატება პერსონალის შეუსაბამოდ მცირე რაოდენობა, რომელიც არა მხოლოდ ბენეფიციარებზე ზრუნვის განხორციელებას, არამედ მათი უსაფრთხოებასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

იური ვაზაგაშვილი: „ირაკლი ფირცხალავას ოჯახზე სკანდალური ინფორმაციები მაქვს“

გულიკო ბალაძე

2006 წელს კორტებთან (ახლანდელ იუსტიციის სახლთან) ზურა ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის დახვრეტასთან დაკავშირებით იური ვაზაგაშვილმა ახალი მტკიცებულებები გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ მისი შვილი სამართალდამცველებმა განზრახ მოკლეს.

ზურა ვაზაგაშვილის მამა, იური ვაზაგაშვილი აცხადებს, რომ რამდენიმე დღის წინ მედიაკავშირ „ობიექტივის“ მეშვეობით გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს ჩაცხრილული მანქანა, რომელშიც მისი შვილი და ალექსანდრე ხუბულოვი იმყოფებოდნენ. წარმოდგენილი კადრებით კი აშკარად ჩანს, რომ სამართალდამცველებმა ისინი განზრახ მოკლეს.

იური ვაზაგაშვილმა განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა საკონტროლო გასროლასაც და ზემოხსენებული კადრები ბევრ ახალ გარემოებას გამოკვეთს.

იური ვაზაგაშვილი მკვლელობის ორგანიზებაში კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროს ირაკლი ფირცხალავას ადანაშაულებს.

– ირაკლი ფირცხალავა ცრუობს, როცა ამბობს, რომ ვაზაგაშვილი და ხუბულოვი ორმხრივი სროლისას დაიღუპნენ. ნათელია, რომ დაღუპულ ახალგაზრდებს პოლიციელების მიერ ჩაცხრილული მანქანის უკანა საქარე მინიდან არ უსვრიათ, რადგან მინებში მხოლოდ შემავალი ნატყვიარები ფიქსირდება, – აცხადებს იური ვაზაგაშვილი.

იმდროინდელი სახალხო დამცველის სოზარ სუბარის მიერ ჩატარებულმა ალტერნატიულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა, რომ ხუბულოვისა და ზურა ვაზაგაშვილის მანქანის სალონში დენთის ნაკვალევი არ აღინიშნებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ იარაღიდან არ უსვრიათ.

იური ვაზაგაშვილი დარწმუნებულია, რომ პოლიციელებმა მისი შვილი და ხუბულოვი ჯერ ჩაცხრილეს და იარაღები ორმხრივი სროლის ვერსიის შესათითხნად განზრახ ჩაუდეს.

იური ვაზაგაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ, ოფიციალური ვერსიით, ზურა ვაზაგაშვილი და საშა ხუბულოვი მოქალაქე აჰმედ მამედოვის თბილისში მდებარე სახლის დასაყაჩაღებლად მიდიოდნენ. მათ გზად პოლიცია აედევნათ, რომლებსაც ამ უკანასკნელებმა ცეცხლი გაუხსნეს. სამართალდამცავი უწყებები აცხადებდნენ, რომ ისინი ზემოხსენებულ შეიარაღებულ ჯგუფს მამედოვის სახლთანაც ჩაუსაფრდნენ, თუმცა, ამ სახლის მისამართი და მისი პატრონის ვინაობა საქმეში მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გაჩნდა. მამედოვი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ მან სამართალდამცველებისაგან შეიტყო, რომ გარკვეული ჯგუფი მის დაყაჩაღებას აპირებდა. მამედოვი აცხადებს, რომ მას ლილოში ორი ჯიხური აქვს გაქირავებული, საიდანაც, ჯამში, შემოსავლის სახით სულ 400-500 ლარს იღებს, ამასთან, გახსნილი აქვს პატარა სილამაზის სალონი, რომლის მუშაობის შედეგადაც სულ 350 ლარს გამოიმუშავებს.

– რატომ გადაწყვეტდა ჩემი შვილი, რომელიც ფინანსურად სრულიად უზრუნველყოფილი იყო, 700-ლარიანი შემოსავლის მქონე ადამიანის სახლის დაყაჩაღებას, მით უმეტეს, წარსულში ნასამართლევი არასდროს ყოფილა და არც კრიმინალთან ჰქონია რაიმე შეხება, – ამბობს იური ვაზაგაშვილი.

იური ვაზაგაშვილი ამბობს, რომ ის ჩინოვნიკი არასდროს ყოფილა, თუმცა, ოჯახური ბიზნესი დღემდე აქვს, რომელიც წარმატებით მუშაობს და კარგი შემოსავალიც აქვს, მათ შორის, ძვირადღირებული მანქანის ყიდვისთვისაც კი საკმარისი.

იური ვაზაგაშვილი აცხადეს, რომ მისი შვილის საქმეზე გამოძიება ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ზემოხსენებული საქმის გაყალბებაში მონაწილეობდნენ, დღემდე პროკურატურის მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ. ამიტომ ეჭვობს, რომ შეიძლება ეს პირები გამოძიებას ხელს შეუშლიან და მათ წინააღმდეგ არსებული სამხილების გაყალბებას კიდევ შეეცდებიან.

როგორც იური ვაზაგაშვილი ამბობს, საქმეში კიდევ რამდენიმე ახალი მოწმე, მკვლელობის თვითმხილველი გამოჩნდა, რომელთა ვინაობასაც იგი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ასახელებს.

იური ვაზაგაშვილი აგრეთვე აცხადებს, რომ ირაკლი ფირცხალავას წინააღმდეგ მრავალი მტკიცებულებაა. კერძოდ, ეს ირაკლი ფირცხალავასა და მისი ოჯახის წევრების კრიმინალური საქმიანობას ეხება.

– ირაკლი ფირცხალავა რომ მკვლელი და ყაჩაღია, ამის უამრავი მტკიცებულებაა. სამი განხრით მაქვს მთლიანი მასალები, საიდანაც ჩანს, კრიმინალებთან ერთად როგორ აყაჩაღებდა და იტაცებდა ხალხს. გვარებიც გაცხადდება, რომელ ოჯახს სად რა წაართვა, – აცხადებს იური ვაზაგაშვილი.

მისი თქმით, ირაკლი ფირცხალავას მიერ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილმა ფირმა დაამტკიცა, როგორი პოლიცია და ხელისუფლება გვყავდა. ამიტომ საჭიროა, თავიდან მოვიშოროთ საკაშვილის რეჟიმის ნარჩენები და ნაცმოძრაობა ფაშისტურ ორგანიზაციად გამოცხადდეს.

– ბატონო იური, ირაკლი ფირცხალავა, რომელმაც ბუტა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჰესიანობა ყაზბეგში

„გააღვიძეთ მწვანე გია, სანამ ჰესი აუგიათ“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში ჰესების მშენებლობის ბუმია. ეს სენი მეოცნებეებს ნინა ხელისუფლებისაგან გადაედოთ და ცოტა ხანში გადააჭარბებენ ჯიდევაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდ დღეში ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აღმოჩნდა. აქაური მდინარეები ენერგეტიკის სამინისტროსთვის ჯაჭვი საკბილოა.

დარიალის ხეობაში ჰესის მშენებლობა ნაციონალების ყვავილობის ჟამს დაიწყო. ეს ამბავი თვით მიხეილ სააკაშვილმა დააანონსა. მან რამდენჯერმე მოინახულა სამშენებლო სამუშაოები.

ხშირად სტუმრობდა დარიალის ხეობას ვანო მერაბიშვილი. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ სწორედ ის იდგა ამ მშენებლობის უკან. ზუსტად ვინ დგას ამის უკან, ვერაფრით გავარკვიეთ, მაგრამ სერიოზული ხალხი უნდა ჩანდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეჰესეები ასე არ გავიდოდნენ თავს. ეკოლოგების დასკვნის მიუხედავად, ჰესის მშენებლობა გრძელდება. მის შეჩერებას არც ახალი ხელისუფლება აპირებს და ამით დაამტკიცებენ, რომ, ნაციონალების მსგავსად, თერგის მესაფლავეები არიან.

საინტერესოა ისიც, რომ ჰესი იმ ადგილას შენდება, რაც დაცულ ტერიტორიად ითვლება. მეჰესეების „კრიშამ“ დაცული ტერიტორიების საზღვრებიც კი შეაცვლევინა. ეს კი მოკვდავთ იოლად არ ხელეწიფებათ.

გასული წლის დამლევს ცნობილი გახდა წინა ხელისუფლების მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ყაზბეგში სულ 10 ჰესი უნდა აშენდეს. ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთი წარმომადგენელი ამტკიცებდა, ეს ჰესები თუ არ აშენდა, საქართველო გასული საუკუნის 90-იან წლებში დაბრუნდებაო. ნეტა სულ ასეთ სიმართლეს ამბობენ კალაძის თანამშრომლები!

დარიალის ხეობაში ჰესის მშენებლობა რომ არ შეჩერდება, ეს უკვე გაირკვა. სამაგიეროდ, ხდის ხეობის გადარჩენაა შესაძლებელი. ამ უნიკალურ ხეობაში ჰესის აშენება კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ამ საკითხზე არაერთი დისკუსია გაიმართა. არასამთავრობები და ეკოლოგები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან იქ ჰესის აშენებას. ერთ-ერთ შეხვედრაზე არასამთავრობოებს კალაძის მოადგილემ არაკომპეტენტურები უწოდა. იმ დროს დაავიწყდა, რომ არც მისი მინისტრი იყო ძველი ენერგეტიკოსი.

ხდის ხეობის გარშემო მართლა

შესაშური ალიაქოთი ატყდა. იგივე ხალხი დარიალჰესის წინააღმდეგაც გამოდიოდა. ეს მეჰესეებს ცუდად ენიშნათ და საქმეს შეუდგნენ. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ეუბნებოდნენ, ჰესი პატრიარქის კურთხევით შენდებაო. ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს, რომ ხალხი ნაკურთხი ჰესის აშენებაზე თანახმაა. ეს ტყუილი აღმოჩნდა. მეჰესეებმა სხვა სტრატეგია აირჩიეს.

ადგილობრივებს უმტკიცებდნენ, უფასო დენი გექნებათ და ჰესებზეც თქვენ დაგასაქმებთო. ესეც ტყუილი აღმოჩნდა. ამაზე ოდნავ მოგვიანებით. ახლა კი იმის გარკვევა ვცადოთ, რატომ არის დარიალჰესის გამომუშავებული დენი ყველაზე ძვირი. გასაგებია, რომ თერგი უნიკალური მდინარეა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მიზეზი.

– ერთ-ერთი არგუმენტი, რომელსაც ჰესების მშენებელი კომპანიის მფლობელები და ამ ქვეყნის ენერგომამები მშენებლობის გასამართლებლად იყენებენ, არის ის, რომ ქვეყანას იაფი ელექტროენერგია სჭირდება. აქ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს მთავრობასა და დარიალის ხეობაში მშენებარე „ლარსი ჰესის“ მშენებელ კომპანიას შორის დადებული მემორანდუმი. ვისაც ჰგონია, რომ ეს ჰესები საქართველოსთვის შენდება, წაიკითხოს მემორანდუმის 3.3 პუნქტი, სადაც წერია, რომ კომპანია იღებს ვალდებულებას, საქართველოს მიაწოდოს ელექტროენერგია წელიწადში მხოლოდ 3 თვე, ისიც ჰესის ამუშავებიდან 10 წლის განმავლობაში. დანარჩენ პერიოდში ექსპორტზე გავა წარმოებული ელექტროენერგია, ხოლო 10 წლის შემდეგ, ალბათ, სრულად ექსპორტზე იმუშავებს ჰესი. მემორანდუმის 3.11 პუნქტში წერია, რომ ელექტროენერგიის ტარიფი შეადგენს 6,5 ცენტს. ლარებში რომ გადავიყვანოთ, 10,7 თეთრი გამოდის. აქვე ვდებთ 2012 წელს სხვადასხვა ჰესებისგან შესყიდული ელენერგიის ფასებს. დააკვირდით კვტ-ს ფასს და ნახავთ, რომ ასეთი მაღალი ტარიფი არც ერთ ჰესს არ აქვს. რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ელენერგიის ტარიფებს რომ დავუკვირდეთ, ისიც უფრო ნაკლებია, ვიდრე მშენებარე ჰესების ტარიფები იქნება. დასკვნები თქვენ თავად გააკეთეთ, – განმარტეს არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდაში“.

27 თებერვალს ყაზბეგის რაიონს გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი ეწვივნენ. ამ ვიზიტის შესახებ ინფორმაცია „სტეფანწმინდის“ წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს. სწორედ ამ სტუმრობისას გაირკვა, რომ არც დენი იქნება უფასო და არც ადგილობრივების დასაქმება მოხდება.

გარემოს დაცვის მინისტრმა ადგილობრივებთან ერთად დარიალის ხეობაში მშენებარე „დარიალი“ და „ლარსი“ ჰესები დაათვალიერა. მინისტრმა ხდის ხეობაც მოინახულა, სადაც იგივე



კომპანია გეგმავს ჰესის მშენებლობის დაწყებას. პროექტთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტრო მარტის მეორე ნახევარში დადებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას.

ამის შემდეგ გარემოს დაცვის მინისტრმა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ყაზბეგის გამგეობის შენობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართეს შეხვედრა. შეხვედრაზე დამსწრე პირების მიერ არაერთი კითხვა დაისვა.

ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ჰესების აშენების შემდეგ რაიონს შეღავათით ან სულაც უფასოდ ექნება ელექტროენერგია, უარყვეს როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა, ისე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივების მხრიდან არაერთხელ მოხდა კითხვის დასმა იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდება თუ არა მშენებარე ჰესების მშენებლობის გარკვეული პერიოდით შეჩერება, მათი კვალიფიციური შესწავლა და ამის შემდეგ გადაწყვეტა, გაგრძელდეს თუ არა ისინი, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ უპასუხა, რომ მათ არ შეუძლიათ ამის გაკეთება, რადგან სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულებები ინვესტორების წინაშე. ელოშვილმა იგივე პასუხი გასცა ხდის ხეობაში დაგეგმილი ჰესის მშენებლობის დაწყების შეჩერებასთან დაკავშირებითაც და განაცხადა, რომ სახელმწიფოს უკვე აქვს დადებული მემორანდუმი და, შესაბამისად, ვალდებულებებიც აღებული აქვს. აქედან გამომდინარე, მისი შეჩერება არ შეუძლია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმიდის“ შეფასებით, ენერგეტიკის სამინისტროს ამჟამინდელი ხელმძღვანელების მიერ გრძელდება იგივე გაუაზრებელი პოლიტიკის გატარება, რაც ხორციელდებოდა მისი წინამორბედების მიერ. მიუხედავად წინასაარჩევნო პერიოდში ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის მიცემული დაპირებისა, რომ მოხდებოდა მშენებარე ჰესების შეჩერება და სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურების აშენებასთან დაკავშირებით დადებული მემორანდუმებისა და პროექტების შესწავლა, დღემდე ეს არ მომხდარა და, ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ჰესების მშენებლობის შეჩერება არც მომავალში მოხდება. იმას, რომ დადებულ მემორანდუმებში სახელმწიფოსთვის წამგებიანი პირობებია ჩადებული, ენერგეტიკის სამინისტროც ეთანხმება, მაგრამ მათ გადახედვაზე მაინც უარს აცხადებს. ამასთან, ენერგეტიკის სამინისტრო აცხადებს, რომ მათ ამ დროისათვის არ გააჩნიათ ქვეყნის ენერგეტიკული განვითარების სტრატეგია, თუმცა, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ მოხდეს ახალი ჰესების მშენებლობის დაწყება, კონკრეტულად კი ხდის ჰესის, რომლის მშენებლობაც ჯერ არ დაწყებულა. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში ენერგეტიკული სტრატეგიის არარსებობის ფონზე სრულიად მიუღებელია მსგავსი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების განხორციელება. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ენერგეტიკის სამინისტროს, შეჩერდეს ყაზბეგის რაიონში მშენებარე და დაგეგმილი ჰესების პროექტები, სანამ არ მოხდება საზოგადოებისთვის იმის დასაბუთება, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ამ ჰესების აშენება, რამდენად მიზანშეწონილია ყაზბეგის რაიონში მათი აშენება და რა ზიანს მიაყენებს ყოველივე ეს რაიონის ბუნებასა და მოსახლეობას.

ვნახოთ, რას გადაწყვეტს გარემოს დაცვის სამინისტრო. ადგილობრივები მწვანეთა პარტიის ლიდერ გია გაჩეჩილაძის გამოხმაურებასაც ელიან. გაჩეჩილაძე, სანამ პარლამენტში მოხვდებოდა, სულ ჰესების წინააღმდეგ გამოდიოდა, ახლა კი ხმას აღარ იღებს და ამიტომაც ყაზბეგში ასეთ სიმღერას უმღერიან: „გააღვიძეთ მწვანე გია, სანამ ჰესი აუგიათ“.

გიორგი მიქელაძე: „მერაბიშვილმა „იმედის“ 15% წილის ყიდვა მაიძულა“

დაიბარებენ თუ არა ყოფილ შს მინისტრს დაკითხვაზე

შორენა მარსაგიშვილი

ტელეკომპანია „იმედის“ გარშემო დიდი ამბებია. ნაციონალური ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს

მოუწევს დაკითხვაზე სიარული. ვიღაცეები შესაძლოა გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ. გისოსებს შესაძლოა გადაურჩეს, მაგრამ დაკითხვას ვერ ასცდება ვანო მერაბიშვილი.

გუშინ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ტელეკომპანია „იმედის“ წილის ყოფილი მფლობელის გიორგი მიქელაძის ჩვენება გამოაქვეყნა. მიქელაძე ამბობს, რომ „იმედის“ 15 %-იანი წილი ვანო მერაბიშვილის მუქარით შეიძინა.

– 2006 წელს მე და მიხეილ ძაძამიამ დავაფუძნეთ სამშენებლო კომპანია შპს „ტექს ჯგუფი“, რომელიც ახორციელებდა სამშენებლო სამუშაოებს თბილისის ტერიტორიაზე. 2007 წლის გაზაფხულზე წამოვედი აღნიშნული კომპანიიდან, ერთი პროექტი წამოვიღე და ახალი კომპანია შპს „გრატო პასაჟი“ დავაფუძნე. აღნიშნული კომპანიაც სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. ამ საწარმოში ვარ 80%-იანი წილის მფლობელი, ხოლო დანარჩენ 20%-ს ვაკო ტოგონიძე ფლობს. სწორედ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე დაინტერესდა ძველი ხელისუფლება, კერძოდ, იმ დროინდელი შსს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელთანაც ადრე მქონდა გარკვეული სახის შეხება. კერძოდ, 2007 წელს მიმდინარეობდა მშენებლობა ქალაქ გორში და იმდროინდელი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები დაგვიბარა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომელმაც გაგვაცნო აღნიშნული მშენებლობის პროექტი და შემოგვთავაზა მიგვეღო მონაწილეობა. შეხვედრები გვქონდა ძველ შს სამინისტროს შენობაში, რომელიც ორთაჭალაში მდებარეობდა. ბოლოს ვანო მერაბიშვილმა დამიბარა 2011 წლის ნოემბერში, რომელიც შეხვედრისას შეეხო არა სამშენებლო საქმიანობის, არამედ ტელეკომპანია „იმედის“ თემას. ჩვენს გარდა შეხვედრას არავინ ესწრებოდა, მერაბიშვილმა მითხრა, რომ პანამაში არსებობდა კომპანია „რააკ ჯორჯია ჰოლდინგი“, რომელიც ფლობდა „ჯორჯიან მედია ფროდაქშენის“ 90%-იან წილს (ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებლის) და აღნიშნული წილიდან გარკვეული ნაწილი უნდა შემეძინა მე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამემუქრა ჩემი ბიზნესის ლიკვიდაციით და ამასთან, გამაფრთხილა, რომ ყველაფერი მარტო ბიზნესის წართმევით არ დამთავრდებოდა, ასე ვთქვათ მისი მხრიდან იყო მუქარა. აქვე დავამატებ, რომ არ მინდოდა საერთოდ მიმეღო მონაწილეობაამ პროექტში, ვინაიდან ვიცოდი, ადრე თუ გვიან პრობლემები შემექმნებოდა, თუმცა სხვა გზა არ მქონდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე ჩემს ოჯახს და ბიზნესს საფრთხე დაემუქრებოდა, – აცხადებს მიქელაძე.

მიქელაძის ჩვენებას „იმედის“ ყოფილი მფლობელიც გამოეხმაურა. არველაძე ადასტურებს, რომ მიქელაძე მერაბიშვილს რაღაც საკითხებს მართლაც უთანხმებდა.

ვოვა არუთინიანის საქმე არ გადაიხედება

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ახალი ხელისუფლება ამინისტიით თავს იწონებს. იხარიათ, რომ ციხეებიდან 190 პოლიტპატიმარი გამოუშვეს. ტერორისტობა და გადატრიალების მცდელობა ბევრ მათგანს ბრალდებოდა. ამ საქმეების შეთითხვნა როგორც ხდებოდა ყველამ ვიცით. ამიტომ საქართველოში თითქმის არავინ დაიჯერა მათი ტერორისტობა.

საქართველოში არც ვოვა არუთინოვის ტერორისტობისა სჯერათ. ეს ადამიანი ნაციონალურმა ხელისუფლებამ 2005 წლის მაისში დააპატიმრა. გვიმტკიცებენ, რომ ის ჯორჯ ბუშის აფეთქებას აპირებდა.

საქმეში ჩახედულ ხალხს არაერთხელ უთქვამს, რომ ეს ყველაფერი სისულელეა. საინტერესოა როგორ აფეთქებდა პრეზიდენტ ბუშს არუთინიანი როცა არავის დაუნახავს როგორ ისროლა ხელყუმბარა.

ჩვენებების მისაღებად რა მეთოდებს იყენებდნენ ჩვენი ძალოვანები კარგად ვიცით. და თუ აღიარა არუთინიანმა ტერორისტობა არავის გაუკვირდება. საკვირველი ისაა კენედის მკვლელობაც რომ არ დაიბრალა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვოვა არუთინიანის დედასაც გაუჩნდა იმედი. ანჟელა არუთინიანი შვილის საქმის გადახედვას ითხოვდა. ამბობს, რომ მისი შვილი უდანაშაულოა. არუთინიანის საქმეში რომ ბევრი საეჭვო დეტალია ამაზე ოპოზიციაში ყოფნისას მეოცნებეები ხშირად საუბრობდნენ. ახლა კი სხვანაირად უყურებენ ამ ფაქტს.

როგორც გუშინ ,,პირველი რადიოს“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ვოვა არუთინიანის დედამ ანჟელა არუთინიანმა განაცხადა, იუსტიციის სამინისტროსგან მიიღო პასუხი მის წერილზე, რომლის მიხედვითაც, ირკვევა, რომ მისი შვილის საქმე არ გადაიხედება.

ანჟელა არუთინიანი აცხადებს, რომ წერილი მან მისი შვილის საქმის გადახედვის მოთხოვნით, იუსტიციის სამინისტროში 4 იანვარს გააგზავნა, ხოლო პასუხი 4 თებერვალს მიიღო.

– მივიღე პასუხი 4 თებერვალს, სადაც წერია, რომ აღნიშნული განაჩენი არის კანონიერ ძალაში შესული და მისი გაუქმებისთვის დღეის მდგომარეობით არ არსებობს ახლადგამოვლენილი არც ერთი გარემოება, ე.ი. არ გადახედავენ საქმეს. ჩემი შვილი უდანაშაულოა, მას საქართველოსთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია. მართალია, ჩვენ სომხები ვართ, მაგრამ ეს ჩვენი სამშობლოა და გვიყვარს. ჩემს შვილს არც ამერიკასთან და არც რუსეთთან საქართველო არ გაუყიდია, – აცხადებს ანჟელა არუთინიანი.

არადა ცუდი არ იქნებოდა თუ ახალი ხელისუფლება ამ საქმეს შეისწავლიდა. მაგრამ ერყობა შეეშინდათ ამერიკას არ სწყენოდა.

კუბლაშვილი ბესელიამ გააოგნა

ნათია ხურცილავა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჯოტე ჯუბლაშვილის განცხადებით, დეპუტატმა ეკა ბესელიამ უსაფუძვლო განცხადება გააკეთა.

– მე ვფიქრობ, პოლიტიკოსს უფლება აქვს, გააკეთოს უსაფუძვლო განცხადებები, მაგრამ მე არ მაქვს ამის უფლება,

რომ ასეთი არასერიოზული განცხადებები გავაკეთო. ზოგიერთი პოლიტიკოსი ამ უფლებას იყენებს. რაც შეეხება თემას, რომელიც დღეს სასამართლო სისტემას აწუხებს, ეს გახლავთ ის საკითხები, რომლებიც ძალიან საინტერესოა მართლმსაჯულების სისტემაში მონაწილე ყველა პირისათვის და ჩვენი დღევანდელი შეხვედრა სწორედ ამას ეძღვნება, – განაცხადა კუბლაშვილმა სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფთან შეხვედრის დაწყებამდე, რომელსაც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებიან.

– ჩვენ მოვიწვიეთ როგორც პროკურატურის, ისე ადვოკატურის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ვიმსჯელებთ იმაზე, რომ ნებისმიერი პრაქტიკული საკითხი, რომელიც სასამართლოს დღის წესრიგში დგას, მათთან ერთად განვიხილოთ. გამოთქვან მოსაზრებები, როგორ შეიძლება, უკეთ გაკეთდეს ეს ყველაფერი და თუნდაც ისეთი ძალიან აქტუალური საკითხი, რაც დღეს გახლავთ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, მზად ვართ, პროკურატურასთან, ადვოკატურასთან და არასამთავრობოებთან განვიხილოთ და ვთქვათ, რატომ არის სასამართლოს გადაწყვეტილებების პრაქტიკა ასეთი, – განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

როგორც აღვნიშნეთ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი საკუთარი იმპიჩმენტის დაყენების საფუძველს ვერ ხედავს და ამ საკითხს არასერიოზულად უყურებს, თუმცა, ის განმარტავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს.

კოტე კუბლაშვილის განმარტებით, იმისთვის, რომ მისი იმპიჩმენტის საკითხი დადგეს, აუცილებელია, მას დანაშაულზე წაასწრონ, ასეთი რამ კი არ მომხდარა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, იმ ორი მოსამართლის კომპეტენტურობაზე, რომელთა პირადი საქმეებითაც პროკურატურაა დაინტერესებული და თანამდებობაზე მათი დანიშვნის კანონიერებაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ ამ მოსამართლეებს აქვთ იურიდიული განათლება.

ეკა ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ თუ დამტკიცდება უზენაეს სასამართლოში არაკვალიფიციური მოსამართლეების აყვანის ფაქტები, შესაძლოა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი კახა კოჟორიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას არასწორად მიიჩნევს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდა, რომ 2 მოსამართლე თანამდებობაზე არაკანონიერადაა დანიშნული, პირდაპირი იმპიჩმენტის საკითხი არ უნდა დადგეს.

– საუბარი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტზე, მე ვფიქრობ, არასწორია. თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ეს მოსამართლეები თანამდებობაზე არასწორად გამწესდნენ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირდაპირი იმპიჩმენტის საფუძველს მე, პირადად, ვერ ვხედავ და მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც ფიგურა, არის ძალიან მნიშვნელოვანი სასამართლოს სისტემაში და მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დაყენება, ზოგადად, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ეს უნდა იყოს ისეთი გამონაკლისი შეხვედრა და ისეთი აშკარა დარღვევა, რომ კითხვის ნიშნები არ უნდა ჩნდებოდეს, – განაცხადა კოჟორიძემ.

– პროკურატურას უკვე აქვს ინფორმაცია, რომ მოსამართლეების დანიშვნა არასწორად მოხდა. გამოკვლეულია და ჩანს, რომ ორი მოსამართლის – ბესარიონ ალავიძისა და მაია გიგაურის დანიშვნისას არ იყო დაცული მოთხოვნები. შესაბამისად, იუსტიციის საბჭოს ყველა იმ წევრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც მათ დანიშვნაზე თანხმობა მისცა, მათ შორის, ვფიქრობ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზეც უნდა იყოს საუბარი, რომელმაც თანხმობა განაცხადა, არაუფლებამოსილი პირი დამტკიცებულიყო ასეთ მაღალ თანამდებობაზე. ასე რომ, საქმე გვაქვს კონსტიტუციის უხეშ დარღვევასთან, კერძოდ, არაუფლებამოსილი პირების მოსამართლეებად დანიშვნასთან. საპროცესო კოდექსში პირდაპირ წერია, რომ ასეთ შემთხვევაში ამ მოსამართლეების გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება გადაიხედება. დღეს ვერ გეტყვით, გახდება თუ არა ეს საკითხი კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველი, მაგრამ, ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით მსჯელობა გვექნება, – აცხადებს ეკა ბესელია.

რა პირობებში მსახურობენ ქართველი სამხედროები

ნათია ხურცილავა

ყოფილი ხელისუფლება და აწ უკვე პატიმრობაში მყოფი თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია გვარწმუნებდა, მილიარდობით ლარი სწორედ იმაში გვჭირდება, რომ ქართული ჯარი ფეხზე დავაყენოთ და სამხედრო ინფრასტრუქტურა გავმართოთო. საქართველოს მოქალაქეებსაც, როგორც გადამხდელებს, ამ მიმართულებით დახარჯული მილიარდები არ დანანებიათ, რადგან ჩვენი ქვეყნის წინაშე იდგა და დღესაც დგას მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც არის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

სად წავიდა მილიარდობით ლარი, თუ რეალობა ისეთია, როგორიც არის? თუ ამ გახარჯული მილიარდების შედეგი მხოლოდ ლამის ავტობანზე გაშენებული სამხედრო ბაზაა ყოველგვარი სამხედრო ნორმების დარღვევით?

როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აცხადებს, 2004-08 წლებში 5.5 მილიარდი დაიხარჯა თავდაცვის უწყებაზე. თუმცა სამხედრო ინფრასტრუქტურის 80 პროცენტის მაგალითზე ამ სახსრების ხარჯვის შესაბამისი სიტუაცია არ გვაქვს.

მარნეულის საავიაციო ბრიგადაში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებსა და სამხედრო მფრინავების საცხოვრებელ პირობებს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი გუშინ გაეცნენ.

როგორც გაირკვა, თავდაცვის მინისტრის განცხადებით, შეიარაღებული ძალების ელიტური ნაწილი ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ყველაზე საშინელ მდგომარეობაშია: ბაზაზე მცხოვრებ სამხედრო მფრინავებს სასმელი წყალი არ მიეწოდებათ, შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორია არ არის ასფალტირებული, რაც სამხედრო მოსამსახურეების მიერ ფიზიკური ვარჯიშების ნორმალური ჩატარების საშუალებას არ იძლევა.

ყაზარმებში არსებული ხის ფანჯრები ამორტიზებულია, კედლები დაზიანებულია, ხოლო ხის იატაკი ჩავარდნილია. მწყობრიდან გამოსულია ხელის საბანი ონკანები, ნიჟარები, საშხაპეები, არ ხდება ფეკალური მასის გატარება, რაც ანტისანიტარიულ გარემოს ქმნის.

– მსოფლიო მასშტაბით სამხედრო ავიატორები, სამხედრო ავიაცია არის ელიტური. მათი საცხოვრებელი პირობები, სამუშაო პირობები განსაკუთრებულად კარგია. დღეს, ამ ბაზაზე რაც ვიხილეთ, კომენტარს არ საჭიროებს – აქ ჯარისთვის არაადამიანური პირობებია შექმნილი, ასეა თითქმის სამხედრო ინფრასტრუქტურის 80 პროცენტი. დავისახეთ ამოცანა, რომ წელსვე დავიწყოთ ამ სიტუაციის გამოსწორება. თავდაცვის სამინისტროსთვის ჯარისკაცი, ოფიცერი მთავარი ღირებულება იქნება. მათთვის საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მათთვის ვარჯიშის შესაძლებლობის მიცემა ჩვენ მიერ უზრუნველყოფილი იქნება. წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორება უსწრაფესად, ძალიან მოკლე ვადებში, მაგრამ გონივრულად და გაწერილად უნდა განხორციელდეს. ჩემთვის მთავარია, წელსვე გამოვასწოროთ სიტუაცია და გარდატეხა მოვახდინოთ და ჩვენ ამას მოვახერხებთ, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ უმოკლეს ვადებში უნდა მოხდეს სამხედროებისთვის ადეკვატური პირობების შექმნა. სესიაშვილი ბიუჯეტის გაზრდის აუცილებლობაზეც აკეთებს აქცენტს.

– ყაზარმები კატასტროფულ მდგომარეობაშია. ფაქტობრივად, ინფრასტრუქტურა დანგრეულია. თავდაცვის მინისტრს უკვე დაყენებული აქვს საკითხი, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხდეს ჩვენი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ადეკვატური პირობების შექმნა. რა თქმა უნდა, პარლამენტი მხარს დაუჭერს ბიუჯეტის გაზრდას, თუკი ეს საკითხი დადგება. ვფიქრობ, პარლამენტარებმა, მით უმეტეს ჩვენმა კომიტეტმა ხშირად უნდა იაროს სამხედრო ნაწილებში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გვქონდეს პირდაპირი მჭიდრო კავშირი, რათა ჩვენი თვალით ვნახოთ და შემდეგ შევაფასოთ თითოეულ ნაწილში არსებული მდგომარეობა. ეს საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, ბიუჯეტის გაზრდაზე ვიფიქროთ, მეორე მხრივ, მომავალში შეგვეძლოს იმის შეფასება, თუ რა იყო, რა მდგომარეობაში დაგვხვდა, რა გააკეთა ახალმა მინისტრმა, ახალმა ხელმძღვანელობამ და იმის მიხედვით მოვითხოვოთ შესაბამისი ანგარიშები, – განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა.

ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ მას უკვე ჰქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან და ხანგრძლივი საუბარი საქართველოს შეიარაღებული ძალების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

– თავდაცვის უწყების ბიუჯეტისთვის დამატებითი სახსრებიც იქნება მოზიდული. საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან უკვე აღთქმული მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს, – ამბობს ალასანია.

ალასანიას განცხადებით, სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გამოყოფილი თანხები სრულად ტრანსპარენტული იქნება, ხოლო კონტროლი პარლამენტის მხრიდან განხორციელდება.

მინისტრის განცხადებით, მარნეულის საავიაციო ბაზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ერთ წელიწადში მოხდება.

იური ვაზაგაშვილი: „ირაკლი ფირცხალავას ოჯახზე სკანდალური ინფორმაციები მაქვს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რობაქიძის საქმეზე ფირი გაავრცელა, დაპატიმრებით გემუქრებათ თქვენი განცხადებების გამო. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– ბუტა რობაქიძის საქმეზე ირაკლი ფირცხალავას მიერ წარდგენილი კადრები მონტაჟია. იგივეა ჩვენს საქმესთან მიმართებითაც – თავიდან რომ მიდიან მანქანასთან, უკანა საქარე მინა მთელია, მერე საქმეში ისე აჩენენ, რომ ჩატეხილია. ირაკლი ფირცხალავამ ზუსტად დროზე დაიმოკლა თმები. საერთოდ, ჩემი ყველა განცხადების უკან მტკიცებულება დგას. სიტყვებს ჰაერზე არ ვისვრი. ამიტომ, რა საჩივარიც არ უნდა შეიტანოს ირაკლი ფირცხალავამ, არ მეშინია. მე ადვოკატები მეხვეწებოდნენ, იქით ვუჩივლოთო, როცა ფირცხალავამ თქვა, კრიმინალების გარჩევა იყო და ვეძებდით, ბიჭები ვინ ჩაუშვა. მე თანამონაწილედ გამომიყვანა.

– რაზე საუბრობდა?

– დონაძის საშუალებით თქვა, გვაქვს ინფორმაცია, მეორე დღეს დიღმის მასივში გარჩევა იყო და ვაზაგაშვილის მამაც ესწრებოდა, ვინ ჩაუშვა ბიჭებიო. ამის შემდეგ თქვა, დედაჩემზე თქვაო, რომ... მაგ განხრით მუშაობს ეგ ქალი. მე ხომ არ მითქვამს, რომ ეწევა და მიჰყავს და მოჰყავს ის ხალხი. ამ განხრით მუშაობს დედამისი ათი წელია ამერიკაში.

– ფირცხალავას დედა?

– დიახ. ფირცხალავას დედაზეა ლაპარაკი. მე დოკუმენტი მომიტანეს.

– რა დოკუმენტი მოგიტანეს?

– მისი ოჯახის ახლობელმა მომიტანა. თვითონ გაარკვიოს, ვისი დაწერილია. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ცუდ საქმეს ეწევა? მუშაობს, მივლინებულია ქვეყნიდან.

– ფირცხალავას ოჯახის ახლობელმა მოგაწოდათ ინფორმაცია?

– დიახ, ეს მტკიცებულება ფირცხალავას ნათესავმა მომიტანა. მამაც იქ მუშაობდა. მან ეს იმ დღესაც დაამტკიცა, როცა თქვა, 21 წლის შვილი შს სამინისტროში საფინანსო განყოფილებაში მუშაობსო. ეს მართლა სწორი თქვა, მამამისი, ვალერი ფირცხალავა, შს სამინისტროს ფინანსებს განაგებდა. მე მგონი, დღესაც განაგებს, თორემ 21 წლის ბიჭს (ფირცხალავას შვილს) რა გამოცდილება აქვს, რომ შს სამინისტროში მუშაობს ანუ ფირცხალავას კლანია. უბრალოდ, ირაკლი ფირცხალავა იმის ღირსად არ ჩავთვალე, ჩემს ადვოკატებს მასზე საჩივარი შეეტანათ. მკვლელი და ყაჩაღი ვინ არის, ამ დღეებში მოისმენს საზოგადოება. ირაკლი ფირცხალავა რომ მკვლელი და ყაჩაღია, ამის უამრავი მტკიცებულებაა. სამი განხრით მაქვს მთლიანი მასალები, კრიმინალებთან ერთად როგორ აყაჩაღებდა და იტაცებდა ხალხს. გვარებიც ცნობილია, რომელ ოჯახს სად რა წაართვა და კაცი ქირით რომ ცხოვრობს.

– თვითონ ირაკლი ფირცხალავა აკეთებდა ამას?

– დიახ, ირაკლი ფირცხალავა კრიმინალებთან ერთად მოქმედებდა.

– რომელ ოჯახებზე საუბრობთ?

– ამაზე ჯგუფი მუშაობდა და მუშაობს კიდევ. მე ვამტკიცებ, რომ ფირცხალავა არის ყაჩაღი და მკვლელი. მან შვილი მომიკლა. ეს იყო განზრახ მკვლელობა. წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა ცაადის, გვაზავას, მისი ზემდგომი ირაკლი ქადაგიძის და კიდევ სხვა პირების მიერ. იმდენნი არიან, რომ მათი გვარები თქვენს გაზეთში არ ჩაეტევა. ამას აქამდეც ვამტკიცებდი, მაგრამ პოლიტიკური ნება არ იყო. ისეთი ხელისუფლება გვყავდა, როგორებიც ძალოვნები იყვნენ. ეს გამოჩნდა კიდევაც რობაქიძის (ასევე ჩემი შვილის) მკვლელობის თაობაზე გავრცელებულ კადრებში. მსხვერპლი რომ არ ყოფილიყო და ბუტა რომ გადარჩენილიყო, მაინც მათი პოლიციის მოქმედებები ყველამ დავინახეთ. იმის შემდეგ თვითონ პოლიციელებმა ხუთჯერ შეცვალეს ჩვენებები. ეს იმის მაჩვენებელია, როგორი პროკურატურა გვყავდა და როგორ იძიებდა საქმეებს. ახლა ბუტა რობაქიძეზე კადრების წარმოდგენის მიზანია, დაბნეულობა შეიტანონ, საზოგადოებას აჩვენონ, თითქოს სააკაშვილის რეჟიმის თავკაცები უდანაშაულო ხალხია, მაგრამ ეს არ გამოუვათ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ირაკლი ფირცხალავა და მთელი ის შემადგენლობა – გელა ანჯაფარიძე, გრიგოლ ფეიქაძე, რომელიც გამოძიებას ხელმძღვანელობდა (სისხლის სამართლის სამძებროს უფროსია), დღესაც დაუსჯელები დადიან. იგივე ხდება თენგიზ ხარებავასა და შაქრო ზარდიშვილთან დაკავშირებით, რომლებიც ისევ პროკურატურაში მუშაობს. იმიტომ მივიღეთ ისეთი შედეგი ქალაქ თბილისის მერთან დაკავშირებით. ყველაფერს თავისი სახელი თუ არ დაერქვა და დამნაშავეები საბრალდებო სკამზე არ დავსვით, ჩათვალეთ, რომ სამართლიანობა არ აღდგება და მომავალი ხელისუფლებებიც დაკავდებიან მსგავსი კრიმინალური საქმიანობით. საზოგადოება ვალდებულია, იაქტიუროს და საბოლოოდ მოიცილოს საკაშვილის რეჟიმის ნარჩენები. ნაცმოძრაობა უნდა გამოცხადდეს ფაშისტურ ორგანიზაციად, ხოლო ნაციონალური მოძრაობის თავკაცები – ქვეყნის მოღალატეებად. საერთოდ, რა უნდათ მაგათ პოლიტიკაში. უამრავი მოწმე არსებობს იმისა, როგორ ჩაცხრილეს ჩემი შვილი. მინდა, მივმართო ყოფილ და ამჟამად მოქმედ პოლიციის თანამშრომლებსაც, თუ უნდათ, აღადგინონ ის ხიდი, რომელიც ჩატეხა ვანო მერაბიშვილმა საზოგადოებასა და შს სამინისტროს შორის, გამოვიდნენ და სიმართლე ილაპარაკონ, რადგან მათ აქვთ ყველა ინფორმაცია. მხოლოდ ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გირგვლიანისა და გამცემლიძის საქმეზე კი არა, არამედ სამგორის მეტროსთან რომ ჩაცხრილეს ბიჭები, ქუთაისში რომ ჩაცხრილეს და კიდევ უამრავი მკვლელობაა. 170-მდე ახალგაზრდაა დახვრეტილი. გამოვიდნენ და თქვან სიმართლე. ეს მათი ვალია.

უნივერსალური დაზღვევა საბოტაჟის ნიშნებს გააჩენს?

მერი ნამორაძე

თებერვლის ბოლოსათვის დაანონსებული უნივერსალური სადაზღვევო პროგრამა სწორედ თებერვლის ბოლო დღიდან შევიდა ძალაში. ქვეყნის მასშტაბით, ამოქმედებული პროგრამა 6-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანებს ახალი სადაზღვევო პაკეტით დააზღვევს, რომლის ფარგლებში მოქალაქეებს გადაუდებელი დახმარებისა და სტაციონარული მკურნალობისათვის მომსახურების მიღება 15 ათასი ლარის ფარგლებში შეეძლებათ. სადაზღვევო პაკეტი დაახლოებით 2 მილიონ მოქალაქეს ეხება, რომელთაც აქამდე არანაირი დაზღვევა არ ჰქონიათ.

როგორც ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აცხადებს, დაზღვეულებს შეეძლებათ შეუზღუდავი რაოდენობით ოჯახის ექიმის მომსახურება მიიღონ. არ არის გამორიცხული, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში გაუთავებელი რიგები გაჩნდეს. თუმცა, მინისტრი გვაიმედებს, რომ სამედიცინო დაწესებულებები და მედპერსონალი მზად არის, მომეტებული პაციენტთა ნაკადის სამართავად.

ჯანდაცვის სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ საბოტაჟის ნიშნებიც გაჩნდეს, ან ზოგიერთმა დაწესებულებამ მეტი თანხის მიღების მიზნით ბენეფიციართა ნაკადი ხელოვნურად გაზარდოს. სამინისტრო ამ პროცესების ზედმიწევნით გაკონტროლებას აპირებს. რამდენად კმაყოფილი დარჩება მოსახლეობა ახალი პაკეტით, რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი.

გულბაათ რცხილაძეს თავსმოხვეული კოჰაბიტაცია არ მოსწონს

შორენა გონგლაძე

მთავრობის ცვლილებასთან ერთად, ქართულ პოლიტიკაში სხვაც ბევრი რამ შეიცვალა, მაგალითად, დაინერგა მთავრობის წევრებს შორის ურთიერთობის ნოვატორული მეთოდები, მაგალითად, პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ფეისბუქის მეშვეობით წინადადებებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პარტიის წევრების შეკრება საპროტესტო აქციებისთვის, პოლიტიკოსებს შორის ატეხილი კითხვა-პასუხი და პასუხის პასუხი, რომელიც ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით ხდება. ამ კვირის აკორდი, მაგალითად, იყო პრემიერ-მინისტრის მიმართვა პრეზიდენტისადმი, რომელსაც საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. აღნიშნული მიმართვის შეფასება ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელ გულბაათ რცხილაძეს ვთხოვეთ. მისი თქმით,

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის აწ უკვე ცნობილ მიმართვას მიხეილ სააკაშვილისადმი, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს, თავის გუნდთან ერთად, სამი დღის ვადა მიეცა, საკონსტიტუციო ცვლილებებზე თანხმობის მოსაცემად, არ ექნება სასურველი ეფექტი, თუკი ამ მომენტამდე კონფიდენციალურად უკვე არ ხორციელდებოდა აქტიური კონტაქტები საპარლამენტო უმცირესობის ნაწილთან, ამ ინდივიდებზე ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური ზეწოლისა და მათი გადმობირების მიზნით. ჯერჯერობით ამერიკელებისა და ევროპელების მიერ შემოგდებულმა ფსევდოდემოკრატიულმა „კოჰაბიტაციის“ პროცესმა „ნაციონალურ მოძრაობას“ სულის მოთქმის საშუალება მისცა.

– 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გვარიანად შეშინებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრები ბოლო პერიოდში გაალტიურდნენ და გათავხედდნენ კიდეც. მართალია, მათ ქმედებებს შიში ისევ გასდევს ფონად – სწორედ ამიტომ ითხოვენ საჩინოვნიკო ამნისტიებს (პირდაპირ ექსპრეზიდენტზე და „ნაცების“ სხვა პოლიტიკურ ლიდერებზე ამნისტიის ღიად მოთხოვნა კაპიტულაციის ტოლფასი იქნებოდა), მაგრამ მთავრობის მიერ გატარებული ზომები არასაკმარისია. ეს, პირველ რიგში, ჩანს სასამართლო სისტემის არშემდგარ „დენაციფიკაციაზე“. მმართველი პარტიის ცალკეული ლიდერები ისე აკეთებენ აღშფოთებულ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ „სასამართლოზე, როგორც ჩანს, გავლენა ისევ ნაციონალურ მოძრაობას აქვს“, თითქოს ეს, მათ გარდა, სხვისი ბრალი იყოს. პარლამენტს, პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას ჯერ არ ჰყავთ საიმედო დასაყრდენი ძალოვანი სტრუქტურების სახით (არა მათი პირადი ინტერესების, არამედ სწორედ სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით), ამ სტრუქტურების რეფორმირება ჯერ საწყის სტადიაშია და უცბად ვერ დასრულდება. გამოდის, რომ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში მთავრობა და პარლამენტი მხოლოდ ხალხის, ამომრჩევლების აქტიურობის იმედად უნდა იყოს, – აცხადებს რცხილაძე. მისივე განცხადებით, ამ შემთხვევაში ხალხის მხარდაჭერა მთავარია და ბიძინა ივანიშვილი ამ რესურსს ჯერ კიდევ ფლობს.

– თუკი სახალხო მხარდაჭერა არ იქნა რეალიზებული რაიმე ტიპის, თუნდაც დროებითი ძალოვანი სტრუქტურის სახით, ამ რესურსის გამოყენება პრაქტიკაში არც ისე იოლი იქნება. ერთადერთი, რაც „ნაციონალებს“ აჩერებს ქვეყანაში ბუნტის მოსაწყობად, მათი უკიდურესი არაპოპულარობაა, მაგრამ, თუკი სიტუაცია ასე, თავის დინებაზე მიშვებული გაგრძელდა, მაშინ სკეპტიკურ-ნიჰილისტური განწყობები ხალხში გაიზრდება და მასები თანაბრად შეაქცევენ ზურგს როგორც „ნაცმოძრაობას“, ისე „ქართულ ოცნებას“, ეს კი უდავოდ ყოფილი მმართველი პარტიის სასარგებლოდ იმოქმედებს. ამიტომ პრემიერის ნამდვილად და სამართლიანად მუქარის შემცველ წერილს რეალური ძალა რომ ჰქონდეს, აუცილებელია „ნაცმოძრაობის“ დეპუტაციის ყველაზე პასიური ნაწილის გადმობირება (თუკი დაშინება არ გამოდის) და ამის პარალელურად პოლიციისა და არმიის მხარდამჭერი სახალხო „დრუჟინების“ – რაზმების ორგანიზება „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერების ბაზაზე. კანონის ძალით თუ როგორ შეიძლება ასეთი სტრუქტურების ლეგალიზება, ამაზე იურისტებმა იფიქრონ, მაგრამ სტრუქტურა, პირველ ეტაპზე თუნდაც შეუიარაღებელი რომ აუცილებელია, დღითიდღე სულ უფრო ნათელი ხდება, – აცხადებს რცხილაძე.

– სამწუხაროდ, თავს მოხვეულმა ყალბმა დემოკრატიულმა „კოჰაბიტაციამ“ ხალხის მიერ მხარდაჭერილ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი ტემპი დააკარგვინა და ნაცვლად იმისა, ახლა ისეთ თემებზე ვმსჯელობდეთ, როგორც სოფლის მეურნეობის დახმარების ფონდის ეფექტურობის გაზრდა, რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების დაჩქარება, ინვესტიციების მოზიდვა, განათლებული ქართველი ახალგაზრდობის სამშობლოში დაბრუნება და მრავალი სხვა, გვიწევს ისევ ერთი „გიჟი მიშასა“ და მისი ხროვისგან საქართველოს დახსნაზე გაუთავებელი ბრძოლა. გამოეცხადებინა პრემიერ-მინისტრს, რომ საქართველოსთვის უზენაესია საკუთარი კანონები და არა უცხოელი დიპლომატების აზრი, მაშინ მიხეილ სააკაშვილი დღეს კვლავ „პრეზიდენტად“ არ იქნებოდა წოდებული და მისგან აპრილში მთავრობის დათხოვნის საფრთხეც არ იარსებებდა – მას ხომ 20 იანვარს დაუმთავრდა საკონსტიტუციო მმართველობის ვადა. მაგრამ, ვინაიდან საქართველოს სუვერენიტეტი აშკარად შეზღუდულია დასავლეთის მიერ, შესაბამის შედეგებსაც ვიმკით. ეს ჩემი მოსაზრებებიც, სამწუხაროდ, მოსაზრებებად დარჩება და კიდევ გაგრძელდება სადომაზოხიზმი, სახელად „კოჰაბიტაცია“. თუმცა, მაინც ვიტოვებ პრემიერ-მინისტრის გამჭრიახობის იმედს, იმ ვარაუდით, რომ მისი განცხადების უკან ჩვენთვის ჯერ უცნობი, კონფიდენციალურად უკვე გადადგმული რეალური ნაბიჯები და ასეთივე სამომავლო გეგმა მოიაზრება,

ხოლო თუკი ვინმე შემეწინააღმდეგება, რომ ყოველივე ეს „არადემოკრატიულია“, მათ მე გავახსენებ სააკაშვილის ქმედებებს 2004 წელს – მაშინ იგი ვაბანკზე წავიდა და ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ თავიდან მოეცილებინა სავსებით ლეგიტიმური და კანონიერად არჩეული აჭარის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე, რომელიც „ვარდების“ ხელისუფლებამ დაამხო კიდეც. „რევოლუციონერებს“ ესმოდათ, რომ ან ისინი დაამხობენ ასლანს, ან დროთა განმავლობაში ასლანი მოუღებდა მათ ბოლოს, – აცხადებს რცხილაძე.

გრიპით უკვე 15 ადამიანი გარდაიცვალა

მერი ნამორაძე

ორიოდე კვირის წინ, გრიპით დაფიქსირებულ სამ ლეტალურ შემთხვევასთან დაკავშირებით, როგორც კი ჯანდაცვის მინისტრმა საზოგადოების დამშვიდება დააპირა, საგანგაშო და განსაკუთრებული არაფერი ხდებაო, უმალ გაიზარდა გარდაცვლილთა რაოდენობა. ან მინისტრის „თვალი ეცა“ მოსახლეობას, ან ვირუსმა თავისი გაიტანა და საზოგადოება ისევ ააფორიაქა.

ბოლო მონაცემებით, გარდაცვლილთა რაოდენობა 15-ს აღწევს. მინისტრი კი „გვამშვიდებს“, რომ გასული წლის გრიპის სეზონზე გარდაცვლილთა რაოდენობა 53-ს აღწევდა. ავადობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის, გარდაცვალების 15 შემთხვევიდან ათი შემთხვევა სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ქვეყანაში 2012-2013 წლების გრიპის სეზონისთვის დამახასიათებელი შემთხვევების მატება რეგისტრირდება წლის მე-3 კვირიდან. ამჟამად, გრიპი გავრცელებულია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით. უმთავრესად რეგისტრირდება „ა-ეიჩ-1/პდმ09“-ით გამოწვეული შემთხვევები, თუმცა ზოგიერთ რეგიონში ადგილი აქვს „ბე“ ტიპის ვირუსის ცირკულაციასაც. ამასთან, გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა, ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე, მთავრდება გამოჯანმრთელებით.

შედარებით დაბალი ამბულატორული მიმართვების ფონზე, მომატებულია მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, რაც უკავშირდება სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვიანობის დაგვიანებას და მასთან ასოცირებულ გრიპის გართულებებს.

გრიპის გართულების მაღალი რისკის ქვეშ კვლავაც რჩებიან გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი; სხვა ქრონიკული დაავადების მქონენი; დიაბეტით დაავადებულნი; მცირე და ხანდაზმული ასაკი პირები და ორსულები.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, გრიპის აქტიური გავრცელების ფაზაში დაცული უნდა იქნეს არაპირდაპირი პროფილაქტიკის ზომები, უნდა მოხდეს დაავადებულთა სოციალური დისტანცირება; ჯანმრთელებმაც და დაავადებულებმაც შეძლებისდაგვარად ხშირად უნდა დაიბანონ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა. რაც შეიძლება ხშირად უნდა განიავდეს და სველი წესით დალაგდეს საცხოვრებელი ადგილი;

ქვეყანაში დღეისთვის სულ ლაბორატორიულად დადასტურებულია 236 გრიპის შემთხვევა. ლეტალურად დასრულდა 15 შემთხვევა. პაციენტთა ნაწილს აღენიშნებოდა გრიპით დაავადებამდე დიაგნოსტირებული ერთი ან რამდენიმე ქრონიკული დაავადება. ერთ შემთხვევაში ლეტალური გამოსავალი ასოცირებული იყო ორსულობასთან. თითქმის ყველა შემთხვევაში სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვიანობა იყო დაგვიანებული.

გრიპის სეზონი მარტის შუა რიცხვებამდე გასტანს. იმედი უნდა ვიქონიოთ, მარტის ბოლოს მაინც დაგვინდობს ამინდი და ვირუსიც დაგვეხსნება.

ბიზნესმენი კოტე კოკაია ირაკლი ფირცხალავას ქონების წართმევაში ადანაშაულებს

ბიზნესმენი კოტე კოკაია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის ყოფილ უფროს ირაკლი ფირცხალავას მასზე განხორციელებულ ზეწოლაში ადანაშაულებს.

როგორც კოტე კოკაიამ გუშინ პრაიმ-ტიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ირაკლი ფირცხალავამ მას მოსთხოვა, უსასყიდლოდ დაეთმო მის კუთვნილებაში არსებული ბინათმშენებლობის ადგილი ქუჩიშვილის №10-ში. იმ დროისთვის კოტე კოკაიას ორი მობინადრისგან წინასწარ ჰქონდა აღებული 50 ათასი დოლარი, რომლის გადახდა ფართის გადაფორმების შემთხვევაში მან ფირცხალავას სთხოვა. ფირცხალავას ასევე უნდა გადაეხადა ის ხარჯები, რაც კოკაიას სამშენებლო კომპანიას მშენებლობის პროცესის მომზადებაში ჰქონდა დახარჯული.

„2008 წლის ზაფხულში ჩემს ოფისში შპს. „დავითი 2008“ -ში მოვიდა ირაკლი ფირცხალავა თანმხლებ პირებთან ერთად და ჩემი სამშენებლო კომპანიის პროექტის დათმობმა მთხოვა რომელიც უკვე ყველასთან მქონდა შეთანხმებული და მობინადრეებთან ხელშეკრულებები გაფორმებული. ფირცხალავას განვუცხადე, რომ გარდა მობინადრეებისგან მიღებული თანხისა, დაპროექტებაში, გეოლოგიურ კვლევებსა და სხვა წინასამშენებლო პროცედურებში დიდი თანხა მქონდა დახარჯული და აღნიშნულ ობიექტს მხოლოდ ამ თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში გადავუფორმებდი. ფირცხალავამ მითხრა, 50 ათას დოლარს მობინადრეებისთვის გადაგიხდი, სხვა თანხის გადამხდელი არ ვარ. თუ არა და ხუთი-ექვსი ტრუპი მყავს და შემდეგი შენ იქნებიო. ამის შემდეგ ქუჩიშვილის №10-ში არსებული მშენებლობა ფირცხალავას მეუღლეს, ნინო ხვიტიას, გადავუფორმე“, -აცხადებს კოკაია.

მისი თქმით, ფირცხალავამ მობინადრეების წინაშე აღებული ვალდებულება არ შეასრულა რის გამოც იგი ქალაქის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს და მობინადრეთა დაკმაყოფილების შესახებ პირობა დაადებინეს.

„პროკურატურაში სარჩელი შეტანილი მაქვს, ძველი ხელისუფლების პირობებში ამ საკითხის გააქტიურებას აზრი არ ჰქონდა, ახლა კი მთავრობის დიდი იმედი მაქვს, რომ გამოძიება სწორად წარიმართება და ჩემი საქმის განხილვა დაიწყება“, – აცხადებს კოკაია. **მედიანიუსი**

პოლიტპატიმრებმა მთავარ პროკურატურას საჩივრით მიმართეს

ამნისტიის შედეგად გათავისუფლებულმა „სახალხო კრებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტპატიმრებმა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მათ წინააღმდეგ განხორციელებული უკანონო მოქმედებების ობიექტური გამოძიების მოთხოვნით, მთავარ პროკურატურას საჩივრით მიმართეს.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ყოფილი პოლიტპატიმრები ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ და იმედს გამოთქვამენ, რომ პროკურატურა მათ საქმეებს შეძლებისდაგვარად სწრაფად გამოიძიებს.

ყოფილი პოლიტპატიმრების განცხადებით, ისინი არ არიან რევანშის მომხრე, თუმცა ყველა იმ პირმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მათ წინააღმდეგ ცრუ ბრალდებების შექმნაში, მისცეს ცრუ ჩვენებები და უდანაშაულო ადამიანები რეჟიმის ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ მოპყრობას, წამებასა და ფსიქოლოგიურ ტერორს, – პასუხი კანონის სრული სიმკაცრით უნდა აგონ.

„ჩვენთვის მიუღებელია, რომ ბევრი ის ადამიანი, რომლებსაც პოლიტპატიმართა წინააღმდეგ საქმეების „შეკერვაში“ მონაწილეობა აქვთ მიღებული, დღესაც ინარჩუნებს თანამდებობას, ან უარეს შემთხვევაში დაწინაურებულია და მაღალ, საპასუხისმგებლო პოზიციებს იკავებს“ – აცხადებენ პოლიტპატიმრები. **ნიუსპრესი**

პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „სუბოტექსი“ ამოიღო

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის, წარსულში ნასამართლევი, 1970 წელს დაბადებული ალექსანდრე ბ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული 23 აბი „სუბოტექსი“ ამოიღეს. გამოძიების ინფორმაციით, ნარკოტიკული საშუალება მან ბელგიიდან ფარულად შემოიტანა. როგორც გაირკვა, დაკავებული თითო აბს 500 ლარად ყიდდა.

ასევე, ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბრალდებული დაკავების მომენტში ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობითნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება) მე-3 ნაწილითმიმდინარეობს, რაც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. **ნიუსპრესი**

ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, გუშინ ევროსაბჭოს რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესის დელეგაციას შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის კანცელარიაში გაიმართა, მხარეებმა თვითმმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობა და პრობლემები განიხილეს. საუბარი შეეხო ასევე თვითმმართველობის რეფორმას.

ნიუსპრესი

სოზარ სუბარი თომას ჰამერბერგს შეხვდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი და მინისტრის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში სოფო ჯაფარიძე, დღეს, ევროკავშირის მრჩეველს ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხებში, თომას ჰამერბერგს შეხვდნენ.

სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა პენიტენციალურ სისტემაში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე, სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობაზე და ასევე სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ნიუსპრესი

გურამ ოდიშარიამ ოთხი თვის ანგარიში წარმოადგინა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრმა გურამ ოდიშარიამ საზოგადოება შეკრიბა და საქმიანობის ოთხი თვის ანგარიში წარუდგინა. საპრეზენტაციო ანგარიშს კულტურის სამინისტროში ესწრებოდნენ კულტურის სფეროს მოღვაწეები, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მოადგილეები მანანა ბერიკაშვილი და ალექსანდრე მარგიშვილი, მინისტრის მრჩევლები გიორგი გეგეჭკორი, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, თეონა დოლენჯაშვილი, ლევან ერისთავი, ქარუმ წერეთელი, სამინისტროს თანამშრომლები და ჟურნალისტები.

გურამ ოდიშარიამ ისაუბრა 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით განხორციელებულ პროექტებზე, ასევე საზოგადოებას გააცნო 2013 წელს დაგეგმილი პროექტებიც.

– ანგარიშის გაკეთებამდე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ კულტურის მოღვაწეებსა და სხვადასხვა სფეროს ხელოვანებს შორის არსებობს კონფლიქტები, კლანური დაჯგუფებებიც, რის გამოც ვერ ხერხდება მათი კონცენტრაცია და მათთვის საერთო პრობლემებზე საუბარი. ნამდვილად ვისურვებდი, რომ ეს სიტუაცია შეიცვალოს და ხელოვანებს შორის ურთიერთობა სანიმუშო იყოს. ამ მიზნით ჩვენ სამინისტროში არაერთი მრგვალი მაგიდა გავმართეთ, რომლებიც მიეძღვნა ძეგლთა დაცვის საკითხებს, შევხვდით თეატრისა და კინოს წარმომადგენლებს, ვისაუბრეთ თეატრისა და კინოს შესახებ კანონების დახვეწაზეც, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

კულტურის მინისტრის თქმით, ოთხი თვის განმავლობაში იგი 2000-მდე ადამიანს შეხვდა.

– კულტურის მოღვაწეთა შორის ტოტალური უმუშევრობაა. სამინისტროში 1500-მდე დასაქმების მთხოვნელთა განაცხადია შესული. იმის ფონზე, როდესაც თავად კულტურის სამინისტროს 129 თანამშრომელი ჰყავს და 30 ხელშეკრულებით არის აყვანილი, – განმარტა მინისტრმა.

როგორც გურამ ოდიშარიამ განაცხადა, პირველი ორი თვე მისთვის და მისი გუნდისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო:

– პირველი ორი თვე იყო საკმაოდ მძიმე, დატვირთული, რადგან ვეცნობოდით სად ვარ, რა უნდა გავაკეთოთ და რა იყო უკვე გაკეთებული. ახლა უკვე ვიცით რა უნდა გავაკეთოთ და ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ გავყვებით. იმ პროექტებს დავაფინანსებთ, რომელთა შედეგიც ცოტა მოგვიანებით იქნება, უცებ არაფერი ხდება. ჩვენ ვიცით, რომ მოვძებნეთ ახალი გზა, კონცეფცია, რომელიც აუცილებლად დადებით შედეგს მოიტანს. ჩვენი კონცეფცია სრულიად ახალი ნაბიჯებით სიარულს მოიცავს, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

საანგარიშო პრეზენტაციაზე მინისტრმა ისაუბრა საერთაშორისო პროექტებზე, შეხვედრებსა და ვიზიტებზე. საუბარი შეეხო რეგიონებში განხორციელებულ პროექტებსაც.

– ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტია, აღდგეს რეგიონებში კულტურული ცხოვრება. ამ მიზნით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადავდგით, შევისწავლეთ ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენს დაქვემდებარებაშია და მათ ხელშეწყობას კვლავაც გავაგრძელებთ. ვიცით, რომ ეს ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა, მაგრამ მომავალში მუშაობას ისევ აქტიურად გავაგრძელებთ, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

კულტურის მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება ქართული კულტურის საზღვრებს გარეთ პოპულარიზაციაზე გააკეთა. სამომავლო პროექტებზე საუბრისას გურამ ოდიშარიამ აღნიშნა:

– 2013 წელს დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველო წარდგება ფრანკფურტისა და ლონდონის წიგნის ბაზრობებზე, ასევე ვენეციის ბიენალეზე. წელს იგეგმება თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებების გამოცემა. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს დავაფინანსოთ რამდენიმე პროექტი, თუმცა მათი დასახელება ამჟამად არ შემიძლია. ჩვენ პროექტებს დავაფინანსებთ და შედეგები მოგვიანებით იქნება ცნობილი.

შეხვედრის დასასრულს გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მსგავსი შეხვედრები და საანგარიშო პრეზენტაციები სისტემატურად მოეწყობა. კულტურის მინისტრი მომავალი ანგარიშით საზოგადოების წინაშე ორი თვის შემდეგ წარდგება.

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში შემეცნებითი საუბრები იწყება

ეკა ირემაშვილი

პირველი მარტიდან საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში განახლდება შემეცნებითი საუბრები, რომლებიც გაიმართება ყოველდღე ახალგაზრდული ცენტრის საკონფერენციო დარბაზში. მათზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლება.

პირველ მარტს საუბარს წარმართავს ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი) თემაზე „ადამიანი თანამედროვე სამყაროში“. 3 მარტს მოეწყობა ფილმის ჩვენება, სადაც ნაჩვენები იქნება თამარ თაგვაძის ფილმი „ნიკო ცხვედაძე“. ამავე დღეს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში დეკანოზი პეტრე კვარაცხელია წარუძღვება პოეზიის საღამოს, რომელიც გაბრიელ ჯაბუშანურისადმი იქნება მიძღვნილი. ღონისძიება საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართება. 4 მარტს შემეცნებით საუბარს წარმართავს სვეტიცხოვლის ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი პეტრე კვარაცხელია თემაზე „1921 წლის 25 თებერვალი“. 5 მარტს საუბარი შეეხება თემას „არასრულწლოვნებში სამართლებრივი პასუხისმგებლობა“. საუბარს წარმართავს დოქტორანტი გიორგი გაგუა, 6 მარტს ჩატარდება ახალგაზრდული კონფერენცია აფხაზეთის თემაზე, რომელშიც ჩართული არიან ქართველი და უცხოელი სტუდენტები. 7 მარტს შემეცნებითი საუბრები ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას დაეთმობა. საუბარი შეეხება თემას „წირვა-ლოცვის განმარტება“. საუბარს წარმართავს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი გიორგი წეროძე. პარასკევს შეკრებილ საზოგადოებას ესაუბრება წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბიძინა გუნია თემაზე „მენელსაცხებელე დედები და თანამედროვეობა“.

2 მარტს წმიდა სამების საკათედრო ტაძარში შედგება მრგვალი მაგიდა სკოლის პრობლემებთან დაკავშირებით თემაზე „სკოლის მმართველი“. ღონისძიებას დაესწრებიან პედაგოგები, მოსწავლეები და ორგანიზაციის წევრები. ღონისძიება სასკოლო კვლევების ცენტრის და საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდება.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში შედგა თამაზ ცაბუტაშვილის ახალი წიგნის „დარდის კუნძულის“ წარდგინება. ღონისძიებას ესწრებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. საღამო საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

ახალგაზრდულ ცენტრში დაიგეგმა ახალდაარსებული ქართული კულტურის საერთაშორისო საგანმანათლებლო-შემეცნებითი ცენტრის „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს“ მიერ გამოცემული წიგნის „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“ წარდგინება. ღონისძიება მიეძღვნა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლის იუბილეს. წიგნი გამოიცა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით. ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტებმა და მგალობელთა გუნდმა.

ეროვნული მუზეუმი საგაზაფხულო ღონისძიებებს იწყებს

ეკა ირემაშვილი

პირველი მარტიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმი საგაზაფხულო ღონისძიებებს იწყებს. პირველ მარტს უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტი და გოეთეს ინსტიტუტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით წარმოადგენს ცნობილი ფოტოგრაფის ადამიანის უფლებათა დამცველის ჰელგა პარისის ფოტოგამოფენას.

– თბილისის ისტორიის მუზეუმში წარმოდგენილი იქნება ჰელგა პარისის ფოტოები, საქართველოში და სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილი სერიები. იგი პოლონეთში მეორე მსოფლიო ომის დროს რეპრესირებულ ოჯახში გაიზარდა. მისი შემოქმედებითი გზა იწყება ფოტოგრაფიული ლაბორატორიიდან. შექმნა კოსტიუმების სახელოსნო, მუშაობდა სარეკლამო სტუდიებში, იღებდა ფოტოებს სპექტაკლის რეპეტიციებზე და ოჯახურ წრეში. ჰელგა პარისი არ ცნობდა ჩაკეტილ თემატურ საზღვრებს. სხვადასხვა წლებში მან შექმნა სერიები ბერლინის ღუდხანებზე, მოგზაურობაზე ტრანსილვანიაში, ბერლინის ახალგაზრდობაზე, აგრესიის თემაზე. 80-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში, სადაც შექმნა სერია ,,ქალურობის“ თემაზე. 90-ან წლებში ავტორი ასახავდა მეორე მსოფლიო ომის ბავშვობის დროინდელ შიშს, გადაიღო სერია ,,მოგონებები ზეტ“, ,,ქალები და მამაკაცები“ – რომში. ეს გამოფენა წარმოაჩენს ერთ-ერთ ყველაზე უკომპრომისო და მოქალაქეობრივი თუ ზნეობრივი გარდაქმნებისთვის მებრძოლ ფოტოგრაფს, პორტრეტული ჟანრის ოსტატს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს თავის ძიებას ფოტოგრაფიაში და მუდამ სიახლეს ეძებს, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

SMS-განცხადებები - 3090

● ძალიან იაფად! მუხრან-თელეთში, შავნაბადას წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, 275 კვ.მ. 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 22 კმ-ში. მიმდინარეობს სველი წერტილების მონტაჟი. ფასი: 30000 დოლარი. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 599-72-27-48, 577-42-41-22. გია.

განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

ჩაბი ალონსო: „ბასკობა პრობლემას არ მიქმნის“

მადრიდის „რეალის“ ბასკი ნახევარმცველი ჩაბი ალონსო დიდი პოპულარობით სარგებლობს ესპანეთში და იმის მიუხედავად, რომ ტრავმირებულია, ჟურნალისტები მასთან საუბარს არ ერიდებიან.

ჩაბი ალონსოსთან ინტერვიუ მადრიდული კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რომელიც ფეხბურთელმა ესპანურ პრესას მისცა. ცხადია, კითხვების მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მატჩი იყო, რომელშიც „რეალი“ „მანჩესტერს“ ესტუმრება.

– უპირველესად „ოლდ ტრაფორდზე“ ჩასატარებელი განმეორებით მატჩზე გკითხავთ. პირველი მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ, თქვენი ვარაუდით, რომელ გუნდს აქვს უკეთესი შანსი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასასვლელად?

– ამ სტადიონზე თამაში ერთდროულად დიდი სიამოვნებაცაა და პასუხისმგებლობაც. წყვილში მოგებულს რაც შეეხება, ჩემი აზრით, მეოთხედფინალში ის გუნდი გავა, რომელიც მანჩესტერში პირველი გაიტანს.

– მინდორზე დაბრუნებას როდისთვის გეგმავთ?

– ჯერჯერობით ტკივილის შეგრძნება კიდევ მაქვს. საბოლოო გამოჯობინებამდე ექიმები თამაშს მიკრძალავენ. ჩემი ნება რომ იყოს, ხვალვე ვითამაშებდი, მაგრამ ეს საკუთარ სურვილზე არაა დამოკიდებული.

– რა შეგიძლიათ გვითხრათ გუნდში შექმნილ ატმოსფეროზე?

– შეუძლებელია ყოველდღე ამ თემაზე პრესის ფურცლებზე დისკუსია იყოს გამართული. კარგად ვხედავ, რომ არსებულ რეალობასა და გავრცელებულ ცნობებს შორის უდიდესი სხვაობაა. ფეხბურთი სპორტის კოლექტიური თამაშია. ჩვენ ეს კარგად გვესმის და ამიტომაც „რეალი“ ერთიანი, შეკავშირებული გუნდია.

– არც იკერ კასილასსა და ჟოზე მოურინიოს შორის მომხდარ უთანხმოებას ადასტურებთ?

– იკერსა და მწვრთნელს შორის საქმიანი, პროფესიული ურთიერთობაა. თუმცა, მათი დამოკიდებულება მოთამაშისა და მწვრთნელის ფარგლებს არ სცილდება.

– როგორ დაგვიხასიათებთ მოურინიოს?

– როგორც მწვრთნელი, იგი საუკეთესოა. მეტიც, ჩემი აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი. მასთან ერთობლივად მუშაობისას პროფესიული და პიროვნული ასპექტით ძალიან გავიზარდე. სეუ ჟოზესთან ურთიერთობა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მეტად სასიამოვნო და სასარგებლოა.

– ეროვნებით ბასკი ხართ. მადრიდის „რეალში“ თამაში არ გიჭირთ?

– ჩემი წარმომავლობის გამო მადრიდში პრობლემა არასდროს შექმნია. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩემთვის ყველაფერი ნორმალურადაა. „რეალში“ თამაშის გამო თუკი ვინმე შეურაცხყოფას მაყენებს, ეს უკვე მისი პრობლემაა და არა ჩაბი ალონსოსი.

– ტრიბუნიდან თქვენი მისამართით წამოსროლილი რომელი სიტყვა ან ფრაზა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად?

– ვერ ვიტან, როცა „ზარმაცად“ მიხსენიებენ. ეს ზოგიერთმა ქომაგმა იცის და ცდილობს, ამით ამომაგდოს კალაპოტიდან.

– ოჯახის წევრებთან ფეხბურთზე საუბრობთ?

– მხოლოდ მამასთან. მან ჩემ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა, პროფესიონალად გახდომის შემდეგ კი შენიშვნას აღარ მაძლევს. მისი აზრით, უმჯობესია ნაკლზე მწვრთნელმა მიმითითოს. ვფიქრობ, სწორი მიდგომაა.

– რა უფრო ძნელია – ვაჟის აღზრდა თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა?

– ერთიც და მეორეც ურთულესია. შვილების აღზრდას რაც შეეხება, ვცდილობ კარგი მშობელი ვიყო. ამჟამად ოჯახთან ერთად ყოფნა იშვიათად მიწევს და შვილების აღზრდაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ძირითადად მეუღლეს აქვს აღებული. ჩემ საყვარელ ადამიანებს კი ძირითადად სკაიპის მეშვეობით ვეკონტაქტები. შვილებთა ამგვარი სახის დიალოგი ხანდახან ისეთი ხანგრძლივია, რომ ისინი მონიტორთან ჩათვლემენ ხოლმე. ისე კი, ჩემი უფროსი ბიჭი იონი კარგად ვერაა გარკვეული სიტუაციაში. ერთხელ მან მკითხა – მამა კრიშტიანუს იცნობ?

– კარიერის განმავლობაში არაერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ჩაგიტარებიათ, მაგრამ მაინც გკითხავთ – თქვენთვის გამორჩეული რომელი მატჩია?

– პირადად ჩემთვის 2012 წლის 23 ივნისი მართლაც დაუვიწყარი დღე გახდა – დონეცკის „დონბას არენაზე“ მეასე მატჩი ჩავატარე ნაკრების შემადგენლობაში და ფრანგებთან მატჩისას დუბლი შევასრულე და გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავედი... მართლაც დაუვიწყარი დღე და მატჩია.

ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი გეგმის პრეზენტაცია

კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან შეთანხმებით შეიმუშავა გეგმა, რომლითაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2013 წლის ჩემპიონატისთვის მოემზადება. აღნიშნული გეგმა დაამტკიცა კალათბურთის ფედერაციის გამგეობამ.

ნაკრების მოსამზადებელი გეგმა კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ დღეს მასმედიას გააცნო. პრესკონფერენცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა, რომელზეც ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

ბესიკ ლიპარტელიანი:

– ჩვენი მიზანი იყო, რომ ეროვნული ნაკრებისთვის ისეთი მოსამზადებელი გეგმა შეგვემუშავებინა, რომელიც ოპტიმალური იქნებოდა. მთავარი მწვრთნელის სურვილი იყო, რომ შეძლებისდაგვარად ბევრი მატჩი გვეთამაშა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ევროპის ჩემპიონატზე 6 დღეში 5 მატჩის გამართვა გვიწევს და გადატვირთული გრაფიკისთვის მზად უნდა ვიყოთ. საბოლოოდ მოვახერხეთ ისეთი გრაფიკის შემუშავება, რომელიც მისაღებია და ვფიქრობ, ჩვენი ნაკრები ევროპის პირველობისთვის საფუძვლიანად მოემზადება.

მერაბ რატიშვილი:

– ნაკრები თვენახევრით ადრე დაიწყებს ევროპის 2013 წლის ჩემპიონატისთვის მზადებას, რომელიც წელს სლოვენიაში გაიმართება. კალათბურთელები მზადებას თბილისში, ფიზიკური მომზადებით დაიწყებენ. შემდეგ სლოვენიის ქალაქ პოდჩეტრტეკში გაივლიან შეკრების პირველ ეტაპს. ეროვნული ნაკრები აქამდე ავსტრიაში, ქალაქ შტაინბრუნში ემზადებოდა, სადაც იდეალური პირობებია, მაგრამ ამჯერად გადავწყვიტეთ, საწვრთნელი შეკრება სლოვენიაში გაგვეარა. რა თქმა უნდა, უმჯობესია, იქ მოვემზადოთ, სადაც ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ნაკრებს დიდი მანძილების გავლა არ მოუწევს, თანაც იმ დარბაზში ვითამაშებთ ბოსნიასთან ამხანაგურ მატჩს, სადაც ევრობასკეტზე ჩვენი ჯგუფის თამაშები გაიმართება. ნაკრები სლოვენიის ქალაქ პოდჩეტრტეკში მოემზადება, საიდანაც ცელიემდე, სადაც ოფიციალური თამაშები გვეღის, საკმაოდ ახლოა. გარდა ამისა, ნაკრები საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებს. იტალიაში, ტრენტოში გასამართ ტურნირში მონაწილეობენ – საქართველო, იტალია, პოლონეთი, ისრაელი; საერთაშორისო ტურნირი ანტიბში, საფრანგეთი, მონაწილეობენ საქართველო, საფრანგეთი, სერბეთი; საერთაშორისო ტურნირი თელ-ავივში, ისრაელი, მონაწილეობენ – საქართველო, ისრაელი, ლატვია, მეოთხე გუნდის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება ჩემპიონატს, სლოვენიის ქალაქ ცელიეში ჩატარდება და ჩვენს ნაკრებს ფაქტობრივად, ორ მასპინძელთან მოუწევს თამაში – სლოვენიასა და ხორვატიასთან. ძალიან მძიმე მატჩები გველის.

ჟურნალისტებმა ფედერაციის პრეზიდენტს ნაკრების ნატურალიზებულ მოთამაშეზე დაეკითხნენ, რაზეც ბესიკ ლიპარტელიანმა უპასუხა:

– ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მაღალი დონის უცხოელმა ითამაშოს ეროვნულ ნაკრებში. ყოველწლიურად ახლის ძიებაში ვართ და ასეა ახლაც. იყო მოლაპარაკება „მონტეპასკის“ ამერიკელ უკანახაზელ ბობი ბრაუნთან, ასევე „ეფესის“ კალათბურთელ ჯორდან ფარმართან. მოგეხსენებათ, ეს კალათბურთელები რა მაღალი დონის მოთამაშეები არიან, მაგრამ შეთანხმება საბოლოოდ არ შედგა. ამ მხრივ მუშაობა კვლავ გრძელდება და თუკი ჯეიკობ პულენზე უკეთეს მოთამაშეს შევიგულებთ, ნაკრებში ის ითამაშებს.

ნაკრების შემადგენლობასთან დაკავშირებით ფედერაციის პრეზიდენტის პასუხი ასეთი იყო:

– ნაკრების კანდიდატთა სია გაფართოვდება. არაა გამორიცხული, გუნდში ისეთი კალათბურთელები გამოჩნდნენ, რომლებიც წინა შესარჩევ ციკლში არ იყვნენ. გაფართოებული შემადგენლობა მოგვიანებით გახდება ცნობილი. ასევე გასარკვევია ფიზმომზადების მწვრთნელის, სანდრო ბერკანდინოს საკითხი, მარტის ბოლომდე ამაზეც გვეცოდინება პასუხი. მოსამზადებელ ეტაპზე ჩვენი ნაკრები შეხვედრებს საქართველოში არ ჩაატარებს, ტრანსლაციის საკითხი გაირკვევა. ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების მთავარი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იქნება, რადგან ძალიან რთული მეტოქეები შეგვხვდა, თანაც მასპინძელს ვხვდებით და მათ გულშემატკივრის წინაშე მოგვიწევს ასპარეზობა.

საქართველის ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი გეგმა ჯი, ასეთია:

8-24 ივლისი: ვარჯიშები ფიზიკურ მომზადებაში – თბილისი;

25 ივლისი-6 აგვისტო: მოსამზადებელი შეკრება ქ. პოდჩეტრტეკში, სლოვენია;

7-9 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი ქ. ტრენტოში, იტალია; მონაწილეობენ: საქართველო, იტალია, პოლონეთი, ისრაელი;

10-13 აგვისტო: მოსამზადებელი შეკრება ქ. პოდჩეტრტეკში (სლოვენია);

13 აგვისტო: ამხანაგური მატჩი – საქართველო-ბოსნია ქ. ცელიეში, სლოვენია;

14 აგვისტო: ამხანაგური მატჩი საქართველო-ბოსნია ქ. იესენიცეში, სლოვენია;

16-17 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი ქ. ანტიბში, საფრანგეთი; მონაწილეობენ: საქართველო, საფრანგეთი, სერბეთი;

18-22 აგვისტო: მოსამზადებელი შეკრება თბილისში;

25-28 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი ქ. თელ-ავივში, ისრაელი; მონაწილეობენ: საქართველო, ისრაელი, ლატვია, მეოთხე გუნდი ჯერ უცნობია;

1 სექტემბერი: ამხანაგური მატჩი ლიტვა-საქართველო ქ. კაუნასში, ლიტვა;

2 სექტემბერი: გამგზავრება სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე.

ბადმინტონის ფედერაცია პრეზიდენტს ეძებს

ოლიმპიური კომიტეტი აგრძელებს სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან შეხვედრებს. 28 თებერვალს სეოკ-ის ოფისში პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი ბადმინტონისა და აფროსნობის ფედერაციათა ხელმძღვანელებს შეხვდა და არაერთ საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელებს.

ანატოლი დავიდოვი, ბადმინტონის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

– ბადმინტონის პირველი პიონერები საქართველოში ჩვენ ვიყავით და დროთა განმავლობაში ახალი პლიადა წამოვიდა. სხვათა შორის, ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორიც გვყავდა, შემდეგ კი იცით ქვეყანაც აირია. სპორტის ეს სახეობა 1992 წლიდან ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია და გული მწყდება ჩვენთან სათანადო ყურადღება, რომ არ ექცევა. ნურავის ეგონება, რომ ბადმინტონი მხოლოდ ჩინეთისა და აზიის სხვა ქვეყნების თამაშია, იგი ქართველების სპორტიც არის. არის ქვეყნები, სადაც სპორტის ეს სახეობა სკოლებში სავალდებულო საგნად შეიტანეს. ჩვენთან კი ეროვნული ჩემპიონატი 90-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, უკვე რამდენიმე წელია მსოფლიო ფედერაციაში საწევროც არ შეგვიტანია. სამწუხაროდ, ბადმინტონი არა მარტო ხალხში, სპორტულ საზოგადოებაშიც მკვდარია. წლებია სახელმწიფოსგან მინიმალური მხარდაჭერაც არ გვქონია, არ გვაქვს ინვენტარი, აღარაფერს ვამბობ ბაზაზე. თბილისის რამდენიმე სკოლაშია გაშლილი ბადე და სულ ეს არის. რაც ყველაზე მთავარია ფედერაციას არ ჰყავს პრეზიდენტი და ჩვენ მას ვეძებთ.

ელგუჯა ბერიშვილის თქმით სეოკ-ი ბუნებრივია დაინტერესებულია, რომ ბადმინტონი ჩვენში რაღაც დონეზე მაინც განვითარდეს, რადგან ოლიმპიური სახეობაა, თუმცა მათი უპირველესი საზრუნავი ამ ეტაპზე პრეზიდენტის არჩევაა.

სახარბიელო ვითარება არც აფროსნობაშია და აქაც თითქმის ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყონ. პირველი ვიცე-პრეზიდენტის გიორგი გრიგოლიას თქმით პარადოქსია, მაგრამ საქართველოს აფროსნობის ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციის წევრი მხოლოდ ორი წლის წინ გახდა, მას შემდეგ, რაც ისინი მოვიდნენ.

გიორგი გრიგოლია:

– აფროსნობა ძვირადღირებული სპორტია. თავის დროზე საქართველოში სერიოზული სკოლა გვქონდა და ტრადიციებიც დიდი გვაქვს, თუმცა გარკვეული კატაკლიზმების გამო ფაქტობრივად ყველაფერი დაინგრა. ჩვენი მიზანია ახალი თაობის გაზრდა. დღევანდელი გადასახედიდან ოლიმპიურ ლიცენზიაზე ფიქრი ძალზედ რთულია.

300-იანების კლუბი: პელე, დი სტეფანო და სხვები... მესიმდე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დროის რეკორდი მიულერის ანგარიშზეა. ასევე მას ეკუთვნოდა რეკორდი ერთ კალენდარულ წელში ყველაზე მეტი გატანილი გოლი. ფეხბურთელს ბავარიული კლუბის მაისურით 607 მატჩში 566 გოლი აქვს გატანილი.

ჰაული (ჰეაღი, ესპანეთი)

რაულ გონსალეს ბლანკო „რეალის“ ხატი გახდა. მას ყველგან გაჰქონდა, როგორც ევროპულ დიდ ტურნირებში ასევე ქვეყნის ჩემპიონატში. ის ყველა ფრონტზე გამარჯვებული გამოდიოდა. „სამეფო კლუბში“ მის ანგარიშზე 323 გოლია, რითაც კლუბის კიდევ ერთი ბრწყინვალე ფეხბურთელის ალფრედო დი სტეფანოს რეკორდი დაამხო.

ეუსებიო (ბენფიკა, პორტუგალია)

„ბენფიკას“ ოქროს ხანა სწორედ წარმოშობით მოზამბიკელის სახელს უკავშირდება. პორტუგალიურ კლუბში ეუსებიოს მისვლის შემდეგ ლისაბონის „არწივებმა“ ეროვნული ჩემპიონის ტიტული 11-ჯერ დაისაკუთრეს და ევროპის თასიც მოიგეს. ეუსებიომ ლისაბონის გუნდში 15 წელი გაატარა და მთელი ამ წლების განმავლობაში 473 გოლი გაიტანა.

ფეჰენკ პუშკაში (ჰონვედი, უნგრეთი)

შესანიშნავი ნახევარმცველმა ჯერ კიდევ მადრიდის „რეალში“ გადასვლამდე საუკეთესო ბომბარდირის წოდება სამშობლოში მიიღო. ის 13 წელი იცავდა „ჰონვედის“ ღირსებას და 358 გოლის გატანა შეძლო.

ალფრედო დი სტეფანო (ჰეაღი, ესპანეთი)

„სამეფო კლუბში“ გადასვლისთანავე წარმოშობით არგენტინელი მიზეზი გახდა მრავალწლიანი მტრობისა ორ გრანდს „ბარსასა“ და „რეალს“ შორის. სხვათა შორის, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ერთხელაც არ უნერვიულიათ იმ მომენტში, როდესაც ალფრედო მოედნიდან გაჰყავდათ. ის კლუბში ტყვიამფრქვევივით შემოიჭრა და 5 ევროპული ტურნირი მოიგო. კარიერის განმავლობაში მან 397 მატჩი ჩაატარა და 307 გოლი გაიტანა

ღეო მესი (ბახსელონა, არგენტინა)

ფენომენალური თავდამსხმელი, რომელმაც თავისი დიდებული თამაშით მსოფლიოს სიყვარული დაიმსახურა. „გრანადასთან“ გატანილი დუბლის წყალობით 301-ე გოლი მიითვალა კლუბის მაისურით. მისი ასაკის გათვალისწინებით მან უკვე ბევრი რეკორდის დამყარებაც მოახერხა საყვარელი კლუბის რიგებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მესი შსეჩერებას ჯერ კიდევ არ აპირებს.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ასოციაციის თასი

მიდლსბრო-ჩელსი	0:2

ესპანეთი. სამეფო თასი

სევილია-ატლეტიკო	2:2

იტალია. სერია ბ

ვარეზე-ჩეზენა	3:2
ბარი-ვერონა	0:2

გერმანია. თასი

შტუტგარტი-ბოხუმი	2:0
ბაიერნი-დორტმუნდი	1:0

საფრანგეთი. თასი

ლორიენი-ბრესტი	3:0
რაონი-ბორდო	2:2(3:5პ)
მინგიუ-ნანსი	0:2(დდ)
პსჟ-მარსელი	2:0

ჰოლანდია. თასი

ზვოლე-პსვ	0:3
აიაქსი-ალკმაარი	0:3

პორტუგალია. თასი

ბრაგა-ბენფიკა	0:0(3:2პ)

შოტლანდია. პრემიერლიგა

ინვერნესი-დ.იუნაიტედი	0:0
მოზერველი-სელტიკი	2:1
სტ.მირენი-ჰართსი	2:0
დანდი-სტ.ჯონსონი	2:2
ჰიბერნიანი-კილმანროკი	2:2

შვეიცარია. თასი

ვილი-ციურიხი	2:4(დდ)
თუნი-ბაზელი	1:2(დდ)
არაუ-გრასჰოპერსი	1:4
ლოზანა-სიონი	0:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ინსბრუკი-ნოიშტადი	1:0
რაპიდი-შტურმი	1:1
რიდი-აუსტრია	1:3

ბელგია. პროლიგა

ანდერლეხტი-ვარეგემი	0:1

პოლონეთი. თასი

შლიონსკი-ფლოტა	3:2
ზაგლებიე-რუხი	2:2

კალათბურთი

ნბა. ჩრდილოეთი სეზონი

ვაშინგტონი-დეტროიტი	95:96
კლივლენდი-ტორონტო	103:92
ორლანდო-საკრამენტო	101:125
მემფისი-დალასი	90:84
ნიუ იორკი-გოლდენ სტეიტი	109:105
ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი	119:74
ჰიუსტონი-მილუოკი	107:110
სან ანტონიო-ფინიქსი	101:105(ოტ)
იუტა-ატლანტა	91:102

ზაზა ფაჩულია: 2 ქულა, 2 მოხსნა

პორტლენდი-დენვერი	109:111

ჰოკეი

ნჰლ. ჩრდილოეთი სეზონი

ტორონტო-მონრეალი	2:5
ფილადელფია-ვაშინგტონი	4:1
ანაჰაიმი-ნეშვილი	5:1
ლოს ანჯელესი-დეტროიტი	2:1

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

თემურ ჩხეიძემ ტოვსტონოგოვის თეატრი დატოვა

ეკა ირემაშვილი



ქართველმა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ სანკტ პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვა. როგორც რუსული გამოცემა „იზვესტია“ იუწყება, რეჟისორმა ოფიციალური წერილით მიმართა რუსეთის კულტურის მინისტრს, ვლადიმერ მედინსკის და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება სთხოვა.

– ეს ინფორმაცია თეატრის პრესსამსახურმა გაავრცელა. როგორც თეატრის პრესსამსახურის წარმომადგენელი აცხადებს, უკვე ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი კატეგორიულ უარს აცხადებს კომენტარი გააკეთოს, თუ რატომ დატოვა აღნიშნული თანამდებობა, – წერს „იზვესტია“.

ამ კატეგორიულობას ის ახსნაც აქვს, რომ თემურ ჩხეიძეს ამ საკითხზე ჯერ თეატრის დასთანაც არ უსაუბრია და ყველანაირი კომენტარი მხოლოდ თეატრის დასთან შეხვედრის შემდეგ გაკეთდება.

ინფორმაცია, რომ თემურ ჩხეიძეს დაკავებული თანამდებობის დატოვება და საქართველოში დაბრუნება სურდა, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გაჟღერდა. მაშინ რეჟისორს არ დაუმალავს, რომ ეს ჩანაფიქრი ჰქონდა, თუმცა ოფიციალური განცხადებით რუსეთის კულტურის სამინისტროს მხოლოდ ახლა მიმართა.

თემურ ჩხეიძე სანკტ პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში 1991 წელს მივიდა, 2004 წელს მთავარი რეჟისორის თანამდებობა დაიკავა, სამი წლის შემდეგ კი კირილ ლავროვის გარდაცვალების შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა დაიკავა.

გამოცემა „თეატრალ ონლაინ. რუ“-ს ცნობით, ქართველი რეჟისორი სანკტ პეტერბურგში ბინასაც ყიდის და თბილისში ბრუნდება, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს.

– სანკტ პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრი ჩემთვის სახლია, სხვა შემთხვევაში აქ 20 წელი ვერაფერი გამაჩერებდა. ამ თეატრში პირველად რომ მოვედი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს აქ უკვე ვმუშაობდი, – განუცხადა ჟურნალისტებს რეჟისორმა 2009 წელს მიცემულ ინტერვიუში.

როგორც რუსული გამოცემა იუწყება, რუსეთის კულტურის სამინისტრო სანკტ პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახალ კანდიდატურას ორი თვის განმავლობაში დაასახელებს. ამ დროისთვის კი თეატრისთვის უცნობია, ვინ დაიკავებს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობას.

თემურ ჩხეიძეს არასოდეს დაუმალავს, რომ საქართველოში დაბრუნება სურდა და სტუდენტებთან ურთიერთობა უფრო აინტერესებდა, ვიდრე სპექტაკლების დადგმა. როგორც ჩანს, თავისი სურვილი რეჟისორმა საბოლოოდ მოიყვანა სისრულეში და თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა.

– რა სიხშირით ჩამოდიხართ საქართველოში?

– წელიწადში სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ ჩამოვდივარ. აქ ჩემი სახლია, ჩემების საფლავებია, ვთვლი, რომ ყველაფერი ჩემი აქ არის და ამიტომ ხშირად მინდა ჩამოსვლა, მაგრამ რამდენადაც სამსახური მაძლევს ამის უფლებას, მაშინ ჩამოვდივარ ხოლმე.

– როგორია შორიდან დანახული ქართული კულტურა?

– მთლად ასეთი საშუალება არ მაქვს. მე არ ვარ იმდენად დაცილებული საქართველოს, რომ შემეძლოს ქართული კულტურის უცხო ქვეყნიდან დანახვა. მაინც აქ ვარ ჩართული ყველაფერში.

– აქ გაქვთ საშუალება იაროთ სპექტაკლებზე?

– როცა ჩამოვდივარ, ვცდილობ ეს დანაკარგი რამდენადაც შესაძლებელია ავინაზღაურო.

– რომელ თეატრში დადიხართ ყველაზე ხშირად?

– მარჯანიშვილის თეატრში, რუსთაველის თეატრში დავდივარ, თუ საშუალება მაქვს, სხვაგანაც დავდივარ, თუ ემთხვევა დღეები იმ სპექტაკლზე, რაც მაინტერესებს.

– არ არის ასე ცხოვრება რთული?

– რთულია, მაგრამ რა ვქნა, ცოტა დრო დამრჩა და მინდა ყველაფერი მოვასწრო.

– თქვენი 4 სპექტაკლი უკვე წლებია გადის მარჯანიშვილის თეატრში. რამ გაანაპირობა მათი ასეთი ხანგრძლივი წარმატება?

– ეს დრო ნამდვილად არ არის ცოტა. ალბათ სპექტაკლი მაშინ უძლებს დროს, თუ ის საფუძვლიანად არის აგებული. დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი ძველდება. მანდაც ალღო გინდა კაცს, რომ სანამ დროა, თვითონ შეაწყვეტინო სპექტაკლს არსებობა. ნამდვილად ასე ჯობია. სპექტაკლი მანამდე უნდა მოხსნა, სანამ მაყურებელი საბოლოოდ დაკარგავს მისადმი ინტერესს. სპექტაკლის წარმატების და სიცოცხლისუნარიანობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ზოგი სპექტაკლი ნაკლებს ცოცხლობს, ზოგი – მეტს. ვერაფრით განვსაზღვრავდი, რომ „არტ ხელოვნება“ ამდენ ხანს იცოცხლებდა. ძალიან მიყვარდა „მამა“, მაგრამ აღარ ვთამაშობთ, მიყვარდა „მარადი ქმარი“, მაგრამ აღარ თამაშობენ.“

– სტუდენტები გყავთ?

– არა, არ შეიძლება მყავდეს. როცა თეატრის რეკონსტრუქცია დამთავრდება, ძალიან სერიოზულად უნდა დავფიქრდე. დარჩენილ წლებში სიამოვნებით მექნებოდა ურთიერთობა მხოლოდ სტუდენტებთან. ახლა ვერაფრით ვახერხებ, იქ არ მყავს ჯგუფი, იმიტომ, რომ არ ვიცი, როდის რა მოხდება, არ შეიძლება ბავშვების მიყრა. როცა აიყვან სტუდენტს, ის მინიმუმ 5 წელი შენს გვერდით უნდა იყოს. რა ვიცი, 5 წელი იქ ვიქნები? ამიტომ არ ამყავს ჯგუფი, თუმცა ძალიან დიდი თხოვნაა. აქ კიდევ, როგორ ავიყვანო, სულ წასული ვარ. სიამოვნებით ავიყვანდი ჯგუფს და მარტო სტუდენტებთან მექნებოდა ურთიერთობა.

– აღარ გინდათ თანამდებობები?

– თანამდებობაში არ არის საქმე. მთავარია დრო. ახლა დადგმაზე მეტად სტუდენტებთან ურთიერთობა დამაინტერესებდა. მათ დადგან, მე რაც ვიცი, იმას გავუზიარებ, რაც არა და მათთან ერთად აღმოვაჩენ. თუ ლაბორატორიასავით არ არის შემოქმედებითი ურთიერთობა და მათთან ერთად არ ეძებ, მარტო მენტორის ტონით ჭკუის დარიგებას შედეგი არ მოაქვს. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ისეთი საინტერესო პროცესია ძიების მომენტი, რომ სწორედ მაგიტომ ვარ თეატრში.“

ეს არის ამონარიდები თემურ ჩხეიძის ინტერვიუდან, რომელიც მან „ახალ თაობას“ გასულ წელს თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე სტუმრობისას მისცა.

ეროვნული მუზეუმი საგაზაფხულო ღონისძიებებს იწყებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენლის ნათია მიქელაძის თქმით:

– ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ჰელგა პარისის ფოტოები, საქართველოში და სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილი სერიები, რომლებიც მის ბიოგრაფიასაც უკავშირდება. იგი პოლონეთში მეორე მსოფლიო ომის დროს რეპრესირებულ ოჯახში გაიზარდა. მისი შემოქმედებითი გზა იწყება ფოტოგრაფიული ლაბორატორიიდან. მან შექმნა კოსტიუმების სახელოსნო, ის მუშაობდა სარეკლამო სტუდიებში, იღებდა ფოტოებს სპექტაკლის რეპეტიციებზე და ოჯახურ წრეში. ჰელგა პარისის მიმართვის საფუძველზე აღმოსავლეთ გერმანიის კულტურის ასოციაციის ფოტოგრაფთა საზოგადოებამ დააფინანსა ყოველდღიური ცხოვრების არაკონტროლირებადი გადაღება. მან თავისი პერსონაჟები ტექსტილის ფაბრიკაში მოძებნა და საუკეთესო ნიმუშები შექმნა პორტრეტულ ჟანრში. ჰელგა პარისს ეკუთვნის აღმოსავლეთ გერმანიაში სამი წლის მანძილზე შექმნილი საინტერსო სერია ქალაქ ჰალლეში. 43 წლის ასაკში მან ავტოპორტრეტების გადაღება დაიწყო, რასაც დღემდე აგრძელებს და რითაც ის საკუთარი სახის ცვალებად ექსპრესიას აკვირდება. სერიაში ,,ფრიდრიხ შაინი“ 90-ან წლებში ავტორი ასახავდა მეორე მსოფლიო ომის ბავშვობის დროინდელ შიშს. ის მუშაობდა სერიაზე „პოდროზ პოლსკა“ და მისი თემა კვლავ ქალურობაა, თუმცა ამჯერად, წინა ხედზე წამოიწია იდეალიზაციის მოტივებმა, ქვეყნის ღრმა კათოლიკური რელიგიურობის ფონზე. ეს გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 23 მარტამდე დარჩება.

პირველ მარტს გამოფენის გახსნას დაესწრება თავად ავტორიც. მასთან ერთად საქართველოში ჩამოვა კინორეჟისორი, პოტსდამ-ბაბესბერგის კინოსკოლის პროფესორი ჰელკე მისელვიცი. 6 მარტს კი გოეთეს ინსტიტუტში მისი დოკუმენტური ფილმის „ვის ეშინია შავი კაცის“ ჩვენება გაიმართება.

5 მარტს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმი წარმოადგენს შოთა ორველაშვილის გამოფენას „არჩევანი“.

– ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება შოთა ორველაშვილის, საერო ცხოვრებაში, სხვადასხვა წლებში შექმნილი ფერწერული ნამუშევრები. ამჟამად შოთა ორველაშვილი მღვდელმსახურია. მის ნამუშევრებში იკითხება მეტაფორებით აზროვნების ნიჭი. ,,პეტრე“, ,,წაგებული თამაში“, ,,დიასახლისი“, ,,იერარქიული პარადოქსი“, ,,წინაპრები“ ,,ეჭვი“, ,,ემიგრანტები“, ,,არჩევანი“ და უამრავი სხვა ფერწერული ტილო შექმნილია პორტრეტულ ჟანრსა და სხვა სტილში. მათში იკვეთება მხატვრის დამოკიდებულება საგნებისა და სულიერი ფასეულობების მიმართ. შოთა ორველაშვილი თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო კოლეჯში სწავლობდა, ჰქონდა პერსონალური გამოფენები თბილისში, მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში მხატვრის სახლსა და გალერეაში, არის მხატვართა კავშირის წევრი, მისი ნამუშევრების ნაწილი დაცულია საქართველოს, რუსეთის, ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, საბერძნეთის კერძო კოლექციებში. ამ პროექტის მიზანია, წარუდგინოს დამთვალიერებელს შოთა ორველაშვილის ფერწერა, რომელიც განაწყობს ადამიანებს, რათა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი საგნები და პორტრეტები სხვადასხვაგვარად დაინახონ. შოთა ორველაშვილის ნამუშევრების გამოფენა 15 მარტამდე გაგრძელდება, – აღნიშნავს ანა ვერულაშვილი.

6 მარტს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება გამოფენა „ნაპოლეონი და მისი ეპოქა საქართველოს მუზეუმებში“.

– ფრანგი იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტის პიროვნება საუკუნეების შემდეგაც არ კარგავს მნიშვნელობასა და აქტუალობას. ის არა მხოლოდ თავისი დროის უდიდეს მხედართმთავრად, არამედ თანამედროვე სამყაროში არსებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა ინსტიტუტებისა და ფასეულებების ფუძემდებლადაც მიიჩნევა. ნაპოლეონი ზრუნავდა კულტურის განვითარებაზე და თავადაც იქცა უამრავი ხელოვანის შთაგონების წყაროდ. ამ გამოფენის მიზანია ნაპოლეონის – მსოფლიო ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ფიგურის პორტრეტის შექმნა და მისი ეპოქის გაცოცხლება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცულ ცნობილ იტალიელ და ფრანგ ხელოვანთა ჟაკ-ლუი დავიდის, ანტუან გროს, ლუი მილეს, ჟან-ბატისტ იზაბეს, ჟიულ ბუალის, ოგიუსტ ვოშელე, ანტონიო კანოვას, ლორენცო ბარტოლინისადა სხვათა 57 ნამუშევარი, ორიგინალები და ასლები, აგრეთვე ნაპოლეონის თემაზე შექმნილი ცნობილი ფრანგული და რუსული, სევრისა და კუჩკინის მანუფაქტურების კერამიკისა და ლითონის ნაწარმი. ექსპოზიცია მუზკუმში 28 მარტამდე დარჩება, – აღნიშნავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი 7 მარტს წარმოადგენს თანამედროვე ქართველ მხატვართა საგაზაფხულო გამოფენას.

ანა ვერულაშვილის თქმით:

– ექსპოზიციაზე წარმოდგენილ იქნება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თანამედროვე მხატვართა ახალი ნამუშევრები, როგორც აღიარებული და ღვაწლმოსილი ასევე ახალგაზრდა თაობის შემოქმედება. წარმოდგენილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები ჟანრობრივად მრავალფეროვანია – პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი. დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა იხილოს, მოქანდაკეთა სხვადასხვა მასალაში შესრულებული ნამუშევრები. აგრეთვე, გამოყენებითი ხელოვნების გობელენი, ბატიკა ნიმუშები, რომლებიც გამოირჩევა ქართული ეროვნული თემატიკით, მხატვრულ ფორმათა ორიგინალური სტილიზაციითა და მაღალი საშესრულებლო ოსტატობით.

გამოფენა 25 მარტამდე გაგრძელდება.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მდინარე უკრაინამოლდავეთის საზღვარზე; 2. ბელგიური ავიაკომპანია; 3. ექიმის სპეციალობა; 4. დიდი თაგვი; 5. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 7. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 11. კინოაპარატის გამომგონებელი ფრანგი ძმების გვარი; 13. წინასწარი, მიახლოებითი აზრი რაიმეს შესახებ; 15. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად: 18. სამხრეთ ამერიკაში ბინადარი სირაქლემა; 19. ფულის ერთეული ინდოეთში.

თარაზულად: 6. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 8. კარაქის შესადღვები, ხის პრიმიტიული ხელსაწყო; 9. სომეხთა მღვდელი; 10. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 12. პირველი გერმანული ოპერა; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 17. სანატორიუმის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილი ბილიკი სამკურნალო სიარულისთვის; 20. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 21. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 22. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში, ჭაობში, მთაში, ტყეში; 23. ფუტკრის სკის შავი ცვილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სტელსი; 2. ჩხუტი; 3. რიწა; 5. ლეგატი; 6. სეული; 7. კნესეტი; 11. სქოლიო; 13. აპენინი; 14. ბამბა; 15. შჩეცინი; 16. რელიქტი; 17. პალატა; 19. არენა; 20. ფიფა.

თარაზულად: 1. საჩხერე; 4. ტაბლა; 8. წინდა; 9. გურუ; 10. ლოტოსი; 12. ასფალტი; 14. ბალი; 15. შიმპანზე; 16. რემბო; 18. ციცქა; 21. ლაციო; 22. ტელფერი; 23. ნიტრატი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ისაკაძე; 2. ზარზმა; 3. ბაკურიანი; 4. პრიზმა; 5. პამპერსი; 7. ვერე; 11. ძილქუში; 13. ბაბაჭუა; 15. ქართუ; 16. ფეოლა; 18. ღვინიო; 19. ვეკუა.

თარაზულად: 6. საბვეი; 8. დარჯაკი; 9. ბაირამი; 10. ანდერძი; 12. ვახტი; 14. დაგესი; 17. ნაბეღლავი; 20. ღრუბელი; 21. მთიელი; 22. ნადუღი; 23. მასმედია.

„მთიანი ყარაბაღი ძველებურად ავტონომია აღარ არის“

საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია, პატივი სცეს მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას. ამის შესახებ, პრესკონფერენციაზე ფილოსოფიური მეცნიერებების დოქტორმა და პოლიტოლოგმა ალექსანდრ მანასიანმა განაცხადა. „ჩვენ არ ვითვალისწინებთ ჩვენს მენტალიტეტს, რატომ გავხდით მაინც და მაინც ჩვენ დარბევის მსხვერპლნი? ეს უბრალოდ არ ხდება. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გავიგეთ ევროპის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში. გარდა ამისა, დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთი მომხრე იყო ყარაბაღის დამოუკიდებლობის, რადგან ამით საბჭოთა კავშირის დაშლა სურდათ, თუმცა ბოლო პერიოდში ყარაბაღი მათთვის საინტერესო არ არის“, – განაცხადა პოლიტოლოგმა.

მისივე თქმით, სომხები აზერბაიჯანში უმცირესობას არ წარმოადგენენ, ისინი ამ სახელმწიფოს დამფუძნებლებიც არიან. „ამას გარდა, დღესდღეობით, ჩვენ ვერ აღვიქვამთ ყარაბაღის გეოგრაფიულ მდებარეობას სწორად. ყარაბაღი-ძველებურად ავტონომიური ოლქი არ არის და ასე ფიქრი არასწორია. სინამდვილეში, ჩვენ არ გავცილებურვართ ყარაბახის საზღვრებს, პირიქით, ყარაბაღის ცენტრალური და ჩრდილოეთ ნაწილი აზერბაიჯანის მიერ დღემდე ოკუპირებულია. რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის უფლებას, ეს უფლება აზერბაიჯანმა რამდენიმეჯერ აღიარა და აუცილებელია ამ უფლების პატივისცემა“, – განაცხადა ალექსანდრე მანასიანმა.

მთიანი ყარაბაღი ისტორიული რეგიონია ამიერკავკასიაში. 1923 წელს შეიქმნა ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის შემადგენლობაში. 1988 წლის შემდეგ ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორია და მისი მიმდებარე აზერბაიჯანის რაიონები ფაქტობრივად ოკუპირებული აქვს სომხურ სეპარატისტულ დაჯგუფებებს. ტერიტორიის სტატუსი კვლავაც გაურკვეველია.

ფართობი – 4,400 კმ .

მოსახლეობა – 146 ათასი, კონფლიქტამდე ძირითადად ცხოვრობდნენ სომხები და აზერბაიჯანელები. ამჟამად მხოლოდ სომხები არიან დარჩენილი.

დედაქალაქი – სტეპანაკერტი (აზერბაიჯანულად – ხანქენდი).

ბულგარეთში არჩევნები 12 მაისს გაიმართება

ბულგარეთის პრეზიდენტის როსენ პლევნელიევმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 12 მაისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბოიკო ბორისოვო საპროტესტო გამოსვლების შემდეგ გადადგა. დემონსტრანტების უკმაყოფილების მთავარი მიზეზი ელექტროენერგიაზე გადასახადის მატება გახდა. არჩევნებამდე ქვეყანას დროებითი მთავრობა მართავს. ბულგარეთის საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანი სახალხო კრებაა, რომელიც 240 წევრისგან შედგება.

ამერიკელი მილიარდერი მეუღლეთა წყვილს მარსზე გაგზავნას სთავაზობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ექსპედიციის გაგზავნის შესახებ დენის ტიტომ 21 თებერვალს განაცხადა. ფრენის ხანგრძლივობა მარსამდე და უკან 501 დღეს შეადგენს. სხვა გარემოებები, რომელიც ფრენის ტექნიკურ მხარეს და მისი დაფინანსების წყაროებს ეხება, ასევე ეკიპაჟის შემადგენლობა, ჯერჯერობით, არ ხმაურდება. ექსპერტები ამ პროექტის ღირებულებას მინიმუმ მილიარდ დოლარად აფასებენ.

ამერიკელი მილიარდერი დენის ტიტო ისტორიაში პირველ კოსმოსურ ტურისტად ითვლება. 2001 წელს, მან ფრენისა და კოსმოსური სადგურზე რამდენიმე დღე-ღამის გატარებისათვის 20 მილიონი დოლარი გადაიხადა.

კოსმოსური სააგენტო „ნასა“ მიესალმება გეგმებს და თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. „ნასასგან“ ტიტოს ფინანსური დახმარება არ სურს.

მარსი (ძვ. ქართული სახელწოდება მარიხი) მეოთხე პლანეტაა სიშორით მზის სისტემაში. მას რომაული ომის ღმერთის მარსის სახელი ჰქვია (არესი ბერძნულ მითოლოგიაში). მას მეტსახელად „წითელი პლანეტა“ ჰქვია დედამიწიდან, ღამის ცაზე, მისი შეფერილობის გამო. მას ორი თანამგზავრი ჰყავს – ფობოსი და დეიმოსი – მცირე და უსწორმასწორო ზედაპირის მქონე სხეულები, შესაძლოა მარსის გრავიტაციაში მოქცეული ასტეროიდები იყოს.

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი სირიის ოპოზიციას 10-მილიონიან დახმარებას გამოუყოფს

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი დღეს სირიის ოპოზიციასთან შეხვედრისას, სავარუდოდ, განაცხადებს რომ ამერიკა მათ „ათი მილიონი დოლარის“ ღირებულების დახმარების პაკეტს გამოუყოფს. ეს ინფორმაცია „სი-ენ-ენს“ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მიაწოდა.

წყაროს ცნობით, ობამას ჯერ პაკეტის გაცემაზე ხელი არ მოუწერია, თუმცა პრეზიდენტს არაერთი მიზეზი აქვს, თუ რატომ უნდა დაეხმარონ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ ამბოხებულებს.

როგორც ცნობილია, კერიმ ამ კვირაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე პირველი ვიზიტები დაიწყო, რომლის ფრაგლებშიც ის უმთავრესად სირიის კრიზისთან დაკავშირებით მართავს მოლაპარაკებებს. ის დღეს რომში „სირიის მეგობრების“ შეხვედრასაც დაესწრება. კონფერენციაში მონაწილეობას 60-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს.

ასევე „როიტერს“ ევროპელმა დიპლომატიურმა წყარომ აცნობა, რომ მომავალ ორშაბათს დასავლეთისა და არაბული ქვეყნების ოფიციალური პირები სტამბოლში შეხვდებიან ერთმანეთს, სადაც ამბოხებულებისათვის ჰუმანიტარულ და სამხედრო დახმარებაზე იმსჯელებენ.

„აღნიშნული შეხვედრის მიზანია ოპოზიციასთან დახმარების გაზრდის თაობაზე პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოება“, – აღნიშნავს წყარო, რომლის თქმითაც შეხვედრას სირიის ოპოზიციის სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლები დაესწრებიან.

როგორც წყარო აღნიშნავს, ამერიკამ უკვე გადაწყვიტა ოპოზიციას სამედიცინო და საკვები დახმარება გამოუყოს, თუმცა ქვეყანა ამბოხებულებისათვის იარაღით დახმარების წინააღმდეგი იქნება.

როგორც ცნობილია, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი რომში სირიის ოპოზიციის წარმომადგელებს ხვდება. კერის განცხადებით, ამერიკის სურვილია სირიაში „პოლიტიკური ტრანზიციის პროცესი დაჩქარდეს“.

ამ ფონზე, გაერო სირიაში ჰუმანიტარულ კრიზისს ვერ უმკლავდება. გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწემ ჰუმანიტარულ საკითხებში ვალერი ამოსმა განაცხადა, რომ კრიზისის არეალი ძალიან სწრაფად ფართოვდება.

ამოსის თქმით, ბოლო კონფერენციაზე მიღებულ იქნა პირობა, ჰუმანიტარული პრობლემების დასაძლევად ნახევარი მილიარდის გამოყოფის შესახებ, თუმცა თანხმა ამ დრომდე არაა მიღებული. ამოსმა ასევე აღნიშნა, რომ ეს თანხმა მაინც არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ სირიელების პრობლემა გადაიჭრას.

გაეროს მონაცემებით, სირიაში დახმარებას ოთხ მილიონამდე ადამიანი საჭიროებს. მიმდინარე წლის დასაწყისიდან ქვეყენას ყოველ კვირა 40 ათასამდე ადამიანი ტოვებს.

შეგახსენებთ, რომ სირიაში სამოქალაქო დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო. სხვადასხვა მონაცემებით ამ დროისთვის დაღუპულია 100 ათასამდე ადამიანი.

ტაილანდი ამბოხებულებთან მოლაპარაკებაზე თანახმაა

დღეს, ტაილანდის მთავრობამ უმსხვილეს მუსლიმ ამბოხებულთა ჯგუფთან მოლაპარაკებაზე თანხმობა განაცხადა. 2004 წლიდან მოყოლებული ქვეყნის სამხრეთით არსებულ კონფლიქტს 5000 ადამიანი ემსხვერპლა.

შეთანხმებას ხელი მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში, ტაილანდის უსაფრთხოების უწყებების მაღალჩინოსნებმა და მეამბოხეთა ჯგუფის წევრებმა მოაწერეს. ეს, ამბოხებულებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებებისკენ პირველი გადადგმული ნაბიჯი იქნება, რომლებსაც ქვეყნის სამხრეთით ავტონომიის შექმნას სურთ.

„როიტერის“ ცნობით, ოფიციალურ პირებს დეტალებზე არ უსაუბრიათ – უცნობია როდისთვის იგეგმება შეხვედრა.

ცნობისთვის, 1896 წლის ინგლისურ-ფრანგული შეთანხმებით აღიარებულ იქნა სიამის დამოუკიდებელი ბუფერული სახელმწიფო. 1932 წლიდან კონსტიტუციური მონარქიაა. სახელწოდება ტაილანდი მიღებულ იქნა 1939 წელს. მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებული იყო იაპონიის მიერ. 1947 წელს სამხედროებმა ჩაიგდეს ძალაუფლება. სამოქალაქო მთავრობა – შეიქმნა 1983 წელს.

ოლანდი მოსკოვშია

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი რუსეთში ვიზიტით იმყოფება. „როიტერის“ ცნობით, დღეს, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას პრეზიდენტი რუსეთში ადამიანის უფლებების შესახებ აპირებს საუბარს.

24 საათიანი ვიზიტის განმავლობაში ოლანდი, რომელმაც მოსკოვში ვიზიტი რადიოინტერვიუთი დაიწყო, ეცდება რუსეთში ადამიანის უფლებებსა და საფრანგეთსა და რუსეთს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებაზე გააკეთოს აქცენტი.

„ეე პრეზიდენტ პუტინთან ადამიანის უფლებების შესახებ მსურს საუბარი. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხები, ჩვენი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ასპექტებია“, – აღნიშნა პრეზიდენმტა „ეხო მოსკვისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

საფრანგეთში ოლანდს მოუწოდებენ შეშფოთება გამოთქვას რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით შემაშფოთებელი მდგომარეობის გამო, მათ შორის პუტინის ოპონენტის მიხეილ ხოდორკოვსკი ბედის გამო-რუსეთის უმდიდრესი მოქალაქე, რომელიც თაღლითობისა და გადასახადების თავიდან არიდების გამო 13 წლიან სასჯელს იხდის.

საფრანგეთის გარდა, რუსეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებით გერმანიამაც გამოთქვა შეშფოთება – გასულ წელს მოსკოვში ვიზიტის დროს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მოსკოვი განსხვავებული აზრის ჩახშობაში დაადანაშაულა.

ფრანსუა ოლანდი (12 აგვისტო 1954, რუანი) 2012 წლის 6 მაისის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების საფუძველზე საფრანგეთის პრეზიდენტია. არჩევნების პირველ ტურში ოლანდმა ხმების 28,6% მიიღო, მოქმედმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ კი – 27,1%. 6 მაისს გამართულ მეორე ტურში კი დაამარცხა საფრანგეთის მოქმედი პრეზიდენტი.

მაგნიტსკის აქტის ერთ-ერთ ავტორს რუსეთის ვიზის მიღებაზე უარი უთხრეს

მაგნიტსკის აქტის ერთ-ერთ ავტორს კრისტოფერ სმიტს, რუსეთის ვიზის მიღებაზე უარი უთხრეს. განცხადება ამის შესახებ თავად კონგრესმენმა გააკეთა. გამოცემა „ფორინ პოლისისთან“ ინტერვიუში სმიტმა აღნიშნა, რომ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც შეეძლო რუსეთისგან უარი მიეღო, ე.წ. „მაგნიტსკის კანონთან“ კავშირია.

„აღშფოთებული ვარ, ასეთი რამ საბჭოთა კავშირისასაც კი არ მომხდარა. მაშინ არაერთხელ ვიმგზავრე რუსეთში“, – განაცხადა სმიტმა.

გამოცემა წერს, რომ იქამდე სანამ ვიზის მიღებასთან დაკავშირებით კონგრესმენი განაცხადს შეიტანდა, პირადად შეხვდა შეერთებულ შტატებში რუსეთის ელჩს. უარის მიღების შემდეგ კი მისგან შეტყობინება მიიღო, სადაც ნათქვამი იყო, რომ გადაწყვეტილება მოსკოვში მიიღეს.

აშშ-ის ხელისუფლება კი მაგნიტსკის სიას მარტში გამოაქვეყნებს. ამის შესახებ რუსეთში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელმა ჰოვარდ სოლომონმა განაცხადა.

„მომავალ თვეს, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, გამოქვეყნდება იმ ადამიანების სია, რომლებიც ამ კატეგორიაში შედიან და რომლებსაც ამავე კანონის საფუძველზე აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ“, – განაცხადა დიპლომატმა.

აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით ქვეყნის პორეზიდენტს აქვს უფლება სია გაასაიდუმლოს.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის დეკემბერში აშშ-ში „მაგნიტსკის აქტი“ მიიღეს. აქტი აწესებს სანქციებს რუსეთის იმ მოქალაქებისადმი, რომლებსაც აშშ-ს ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დამრღვევებად მიიჩნევს.

სანქციები ითვალისწინებს ვიზებზე უარის თქმას და ასევე ფინანსურ სანქციებს იმ რუსი ჩინოვნიკების მიმართ, რომლებიც, როგორც ვაშინგტონში მიიჩნევენ, თანამონაწილენი არიან ფონდის იურისტის სერგეი მაგნიტსკის გარდაცვალებაში.

აღნიშნულ კანონპროექტს აშშ-ს სენატში 94 სენატორმა დაუჭირა მხარი და მხოლოდ 4 იყო წინააღმდეგი. იმისათვის, რომ ეს კანონი ძალაში შევიდეს აუცილებელია, რომ მას აშშ-ს პრეზიდენტმა მოაწეროს ხელი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე
ნათელა ხეცაძე,
შვილები მეგი, ზურა
გორგაძეები, რძლები
მაია, ნინო, სიძე
მურმან თაბუკაშვილი,
შვილიშვილები,
შვილთაშვილები
იუწყებიან

ანზორ გაბრიელის ძე გორგაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 28 თებერვალს, 1 მარტს.

დაკრძალვა: 2 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: გურამიშვილის გამზირი 39ა, ბინა 45.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

პარასკევი 1 მარტი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.45 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან“ 17.00 დ/ფ „ისლანდიის ვულკანის მორიგი ამოფრქვევა“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა“ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება“ 22.00 „აქცენტები“ 23.30 „წითელი ზონა“ 00.30 მხ/ფ „აშულ ქერიბი„

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 6 ნაწ. 14.00 დ/ფ სიცოცხლე“ 2 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 7 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ 2 ნაწ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი“ 13.00 სერ. „24 – 5“ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. „ღვინის გზა“ 00.50 მხ/ფ „მატჩ პოინტი“ (ს.იოჰანსონი) 02.50 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მფვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ„ერთგულების ქალა“ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მხ/ფ „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.10 კალამის ნვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია“ III ნაწ. 13.30 კონცერტი - ფრიდრიჰ გულდა 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.00 მხ/ფ „ბაში-აჩუკი“ 17.30 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი“ V ნაწ. 18.05 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია“ IV ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ჩვენი ფონდი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიმარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6563
- ევრო — 2,1871
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5267
- 100 რუსული რუბლი — 5,4556

ამინდის პროგნოზი 1 მარტისთვის

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 1

უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 2

VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება პირველი და მეორე ტომები

1 მარტიდან მესამე ტომი

5 მარტიდან მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 4

XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 3

XII-XVI საუკუნეები

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55

ასტროპროგნოზი

1 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

მშვენიერი დღეა

ვერძი – ხალისიანი განწყობა დიდ საქმეს გაგაკეთებინებთ. ** კურო** – ფული გაქვთ, შენაძენით კმაყოფილი დარჩებით. **ტყუპები** – ნურავის ენდობით, საკუთარ თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** – ბოლო მომენტში აზრს შეიცვლით, ძალიან კარგი. **ლომი** – დიდი წინსვლა გელოდებათ. **ქალწული** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **სასწორი** – საღამოს ახალი ამბავი და საჩუქარი გელით. **ღრიანკალი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის საჩუქარი აქვს. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე მოგწონთ, ფულიც გაქვთ. **თხის რქა** – ვერავინ შეგედრებათ, კონკურენტებს ამარცხებთ. **მერწყული** – გახალისებული ხართ და ამის მიზეზიც გაქვთ. **თევზები** – წარმატესსბული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

შოთი და აჩი — ფუტსალის ოთხთა ფინალის ელჩები

27 მარტს, თბილისის რედისონ ბლუ ივერია ფუტსალში უეფას ოთხთა ფინალის წილისყრის ცერემონიალს უმასპინძლებს. როგორც უეფას ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ტურნირის საპატიო ელჩებად ძმები – შოთა და არჩილ არველაძეები დასახელდნენ. სწორედ ისინი გაარკვევენ ნახევარფინალისტთა ვინაობას.

შეგახსენებთ, რომ ოთხთა ფინალში, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში, 26-28 აპრილს გაიმართება, საქართველოს ჩემპიონის, „იბერია სტარის“ გარდა, მონაწილეობას კატალუნიის „ბარსელონა“, ალმატის „კაირატი“ და 2007 წლის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“ ითამაშებენ.

წილისყრა 27 მარტს, თბილისის დროით 19:00 საათზე დაიწყება.

300-იანების კლუბი: პელე, დი სტეფანო და სხვები... მესიმდე

არგენტინელმა ფეხბურთელმა ლეო მესიმ იმდენი მოახერხა, რომ „ბარსელონას“ მაისურით 300-ე მეტი გოლი გაიტანა.

არც თუ ისე ბევრი ფორვარდია, რომელსაც შეუძლია ასეთი შედეგი აჩვენოს ერთი კლუბის მაისურით. ფაქტობრივად, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც თავის თაობაში კერპები იყვნენ. ახლა კი ასეთად ლიონელ მესი შეიძლება ჩაითვალოს, რომელმაც საკუთარი სახელი „ბარსელონასა“ და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა.

წარმოგიდგენთ ლეგენდარულ ფეხბურთელებს, რომლებმაც ერთ კლუბში 300 და მეტი ბურთის გატანა მოახერხეს.

პელე (სანტოსი, ბრაზილია)

ვერც ერთ რეიტინგული ბომბარდირი ვერ დაჩრდილავს ცნობილ ბრაზილიელს. ჯერ კიდევ ვერც ერთმა თავდამსხმელმა შეძლო პელეს გატანილი გოლების რიცხვს თუნდაც მიახლოვებოდა. ფეხბურთის მეფემ „სანტოსის“ შემადგენლობაში 1115 მატჩში 1088 გოლი გაიტანა.

იან ხაში (ლივერპული, უელსი)

ლეგენდარული უელსელი 16 წლის განმავლობაში იცავდა „წითლების“ ღირსებას. მხოლოდ ერთი წელი თამაშობდა „იუვენტუსში“. მისი მოღვაწეობა „ლივერპულში“ ერთ-ერთი გამორჩეული იყო, რადგან რაშმა კლუბის მაისურით 346 გოლის გატანა მოახერხა.

უვე ზეელეი (ჰამბურგი, გერმანია)

„ჰამბურგის“ ლეგენდა გადაურჩა მეორე მსოფლიო ომს და მოწმეა ბუნდესლიგის განვითარებისა. პრაქტიკულად, მთელი თავისი კარიერა ფეხბურთელმა ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ-სახელმწიფოში ჰამბურგში გაატარა. 18 წლის განმავლობაში „ჰამბურგის“ შემადგენლობაში მეტოქე გუნდების კარი 444-ჯერ აიღო.

სტივ ბული (ვულვერჰემპტონი, ინგლისი)

„ვულვზის“ ლეგენდის ანგარიშზე 306 გოლია, 18 ჰეთთრიკის ჩათვლით, რომელიც 561 მატჩში გაიტანა. მიუხედავად საკლუბო დონეზე დიდებული ასპარეზობისა, სტივმა ინგლისის ნაკრებში მხოლოდ 13 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ეს იყო და მას შემდეგ ინგლისის უმაღლეს ლიგაში აღარ უთამაშია.

გეხდ მიულეხი (ბაიერნი, გერმანია)

დიდებული გერმანელი, რომლის წარდგენა საჭირო სულაც არ არის. როგორც გერმანიის ნაკრებში ასევე მიუნხენის „ბაიერნის“ შემადგენლობაში ყველა

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ჯოსვორდი _ ა



შვეულად: 1. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 2. ტბა აშშ-ში; 3. აფრიკის უდაბნოდან მონაბერი ცხელი ქარი; 4. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 5. იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 8. კორიდას მთავარი მონაწილე; 12. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 13. შტატი აშშ-ში; 14. ქალის ერთგვარი საყურე; 16. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი; 18. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 20. მდინარე თბილისში.

თარაზულად; 6. გულის კედლების გარეთა ფენა; 7. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. დამჟავებული ბოსტნეული; 9. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 10. უფილტრო სიგარეტი; 11. მცირე ამპლიტუდის რხევები; 15. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. პატარა მაღაზია-სახელოსნი იტალიაში; 19. დელტაპლანის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 21. მოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკალი ნაწილი; 22. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 23. გერმანიის კანცლერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ამერიკელი მილიარდერი მეუღლეთა წყვილს მარსზე გაგზავნას სთავაზობს

მარსზე პილოტირებულ ექსპედიციაში, რომელიც 2018 წლისთვისაა დაგეგმილი, მეწარმე და პირველი კოსმოსური ტურისტი დენის ტიტო მეუღლეთა წყვილს მონაწილეობას სთავაზობს. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „ფრანს-პრესი“ ავრცელებს.

მისი განცხადებით, ამბიციურ პროექტს ის უპირატესობა აქვს, რომ 2018 წლისთვის მარსსა და დედამიწას ერთმანეთთან ისე ახლო და ხელსაყრელი მდებარეობა ექნებათ, როგორც არასოდეს.

„ეს ძალიან სიმბოლური იქნება, თუ კაცობრიობას მარსზე ქალი და მამაკაცი წარმოადგენენ“, – განაცხადეს ფრენის ორგანიზატორის წარმომადგენლებმა. მათი თქმით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მომავალი ასტრონავტები ოჯახური წყვილი იყვნენ. ამ შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს ემოციურ მხარდაჭერას გაუწევენ, მარსზე გაფრენის სირთულეების დროს.

2018 წელს მარსზე პილოტირებული

გაგრძელება მე-11 გვერდზე